# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 17 დეკემბერი, 2013 წელი.

№243 (7371)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


რელიგია

## ისლამური საფრთხეები გაზვიადებულია, თუმცა, გარკვეული რისკები არსებობს



5

დაბერებული საქართველოს პრობლემა

## ასაკობრივი დისკრიმინაცია – კიდევ ერთი გამოწვევა



4

მსოფლიოს ცხელი წერტილები

## არჩევანის წინაშე მყოფი უკრაინა



8

ყოფილი პრეზიდენტის ამბიციები

## მიშას „უჯებირო“ ფანტაზია და კიევური დივიდენდები ხელისუფლებაში დასაბრუნებლად



3

„ო, ენავ, ჩემო!..“

ანა პაპიკიანი:

## „ქართული ჩემი მშობლიური ენაა“



7

# ჭაბუა ამირეჯიბის უკვდავება

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი მწუხარებით იუწყება

**ჭაბუა ამირეჯიბის – ბერი დავითის**

გარდაცვალებას, უსამძიმრებს მის მეუღლეს ქალბატონ თამარ ჯავახიშვილს, ოჯახის წევრებსა და მთელ საქართველოს.

**მერაბ ბერძენიშვილი.**



## მაღალი სულიერებით დაჯილდოებული

ალბათ, წარმოუდგენელი იქნებოდა ჩვენი ცხოვრება ისეთი ადამიანების გარეშე, ვინც ფასეულობებს გვკარნახობენ და შემდეგ გვაძლევენ ძალას ღირსებით განვვლოთ ჩვენთვის განკუთვნილი გზა... ჭაბუა ამირეჯიბი მთელი თავისი არსითა და შემოქმედებით, ჩემი აზრით, ყველა ქართველის ოჯახის წევრი იყო და ყველა ჩვენგანის ჭკუის დამრიგებელი. მისი გზა კი განსაცდელებით აღსავსე, რთულად გასააზრებელი, თუ როგორ დაიტია ერთი ადამიანის ბიოგრაფიამ ამდენი დევნა, შურიანობა და მტრობა, როგორ შეძლო მრავალი უმძიმესი ტკივილი უხმოდ დაეთმინა. ჭაბუა ამირეჯიბის მებრძოლი, ვაჟკაცური ბუნებისა და პიროვნული ძალის სადავე მის უდიდეს რწმენაში ინახებოდა, რამაც გადაალახვინა ყველა წინააღმდეგობა და ბერი დავითის მაღალი სულიერებით დააჯილდოვა.

ჭაბუა ამირეჯიბი – ბერი დავითი გარდაიცვალა...

ვუსამძიმრებ მის ოჯახსა და მთელ საქართველოს...

**პაატა ბურჭულაძე**

## მისი შემოქმედება მსოფლიო ლიტერატურის შედევრი და საგანძურია

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჭაბუა ამირეჯიბის ოჯახის წევრებს მიუსამძიმრა. ირაკლი ღარიბაშვილი სამების საკათედრო ტაძარში, მწერლის სამოქალაქო პანაშვიდზე მეუღლესა და მინისტრთა კაბინეტის წევრებთან ერთად იმყოფებოდა.**

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, იზიარებს მწუხარებას, რომელიც განიცადა არა მხოლოდ ჭაბუა ამირეჯიბის ოჯახმა, არამედ – მთელმა საქართველომ.

**– ჭაბუა ამირეჯიბი იყო უდიდესი კლასიკოსი, მართლაც გამორჩეული ადამიანი, უდიდესი ქართველი მწერალი. მისი შემოქმედება არის არა მხოლოდ ქართული კულტურის, არამედ მსოფლიო ლიტერატურის შედევრი და საგანძური. კარგად ვიცით, რომ მისი ლიტერატურული გმირები არიან ზოგადსაკაცობრიო მასშტაბის და ძალიან დიდი მაგალითის მომცემი. ამიტომ მინდა, თანავუგრძნო სრულიად საქართველოს, –** აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

◎ გარე-გარე ნუ ვიყურებით!

# GEO თუ NGO, ანუ დასაკარგი დრო არა გვაქვს!

**„მღვიძარე კაცი გამოჩნდა ერთი, ჯებენოინის შთამომავლის ირანული ღიმილი და „მეგობარი“ ჩრდილოელის ვერაგობა აღბეჭდოდა სახეზე (გ. ჭანტურია. „ახალი იერემიას გოდება“)**

**ერეკლეს მოასვენებენ ასები და ათასები. პატარა კახი მომკვდარაო, ფეხზე დგას მთელი საქართველო. უკანასკნელ დიდ ბაგრატიონს თავზე სპარსული ქუდი ახურავს და მარჯვენა საჩვენებელი თითი კი რუსული მელნითა აქვს მოსვრილი. (გ. ჭანტურია. „მოსე“)**

საქართველოს ისტორიას თუ გადავხედავთ, თითქმის სულ გზაგასაყარზე გვიხდება სიარული, სულ არჩევანის წინაშე დგას ჩვენი ქვეყანა და ერის წინამძღოლებიც რამდენად ბრძნულ არჩევანს გააკეთებდნენ იმისდა მიხედვით იყო, რომ ხან უკიდურეს სიდუხჭირეს განვიცდიდით როგორც სულიერს, ასევე მატერიალურს და ხანაც ცოტას ამოვისუნთქებდით და ბრძოლის ნაცვლად, აღმშენებლობით და კულტურის განვითარებით ვიყავით დაკავებული. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანწილად ეს გადაწყვეტილებები ქვეყნის წინამძღოლებზეა დამოკიდებული და მაგიტომაცაა, რომ ჩვენი მხრიდან ქვეყნის ხელისუფალთა არჩევანის გაკეთების დროსაა საჭირო გონების დაძაბვა და სუფთა სინდისით გადაწყვეტილების მიღება.

წერილის დასაწყისში მოყვანილი ამონარიდები იმის მაგალითია, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტება ამ ცოდვილ დედამიწაზე ძნელად, თითქმის არც მოიპოვება და ამიტომ სიბრძნით დანახული ოქროს შუალედი, უმრავლეს შემთხვევაში საუკეთესო გამოსავალია ხოლმე. გაგვიჭირდება იმის მტკიცება, თუ რატომაა უკიდურესად ცუდი „ჩრდილოეთი“ და უკიდურესად კარგი „დასავლეთი“ ან პირიქით. მიმაჩნია, ის ადამიანები რომლებიც კატეგორიულნი არიან თავის მოსაზრებებში და ცალსახად აცხადებენ, რომ არ არსებობს კარგი რუსეთი ან კარგი დასავლეთი, ცდებიან და პოლიტიკოსის კატეგორიულობა ასეთ შემთხვევაში მის სისუსტეს მიანიშნებს.

ჯერ დამოუკიდებლობა და მერე დემოკრატია თუ პირიქით. ასეთი დილემის წინაშეც დავუყენებივართ ხელისუფლებას უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე. ერთნი თვლიდნენ და სამწუხაროდ, ახლაც არიან პოლიტიკოსები, რომლებიც აცხადებენ, რომ დემოკრატიამ ქვეყნის მართვაში თუ ხელი შეგიშალა, ესე იგი გასაუქმებელია იგი.

თუ ქვეყნის ხელისუფალთა მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, დემოკრატიული ნორმების დაცვით და ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე არ იქნება მიღებული, ყველა შემთხვევაში უარყოფით შედეგს მოგვიტანს. რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის ინტერესი სხვადასხვა ეტაპზე დაემთხვევა რომელიმე ქვეყნის ინტერესს და ზუსტად ასეთ შემთხვევაშია პოლიტიკური ხელმძღვანელობის გამჭრიახობა გადამწყვეტი, რათა ინტერესთა დამთხვევის დოზა ჩვენი ქვეყნისთვის მინიმალური არ იყოს, ხოლო პარტნიორისათვის მაქსიმალური. სამწუხაროდ, ბევრია იმის მაგალითი, თუ როგორ დაზარალებულა საქართველოს ინტერესი სხვა ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ. მაშ რატომ გადაიხვეწა უამრავი ქართველი უცხო ქვეყნებში და რატომ მოილტვიან ჩვენ მიწა-წყალზე დასამკვიდრებლად უცხონი? ნუთუ ძნელია ამის დანახვა, რომ ამაზე დიდი ღალატი ერისა არ არსებობს, როდესაც ძალაუფლების მქონენი, გაუსაძლის საარსებო პირობებს ქმნიან უმრავლესობისათვის. თვალის შეუიარაღებლადაც ხომ გამოჩნდა, რომ ჩვენ შეგვიძლია ავიტანოთ შიმშილი, სიცივე, სიბნელე და ა.შ. ბევრი რამ, მაგრამ ჩვენ ვერ ვიტანთ უსამართლობას. დიახ, ქართველი ერი ვერ ეგუება უსამართლობას და ეს ჩვენი დადებითი თვისებაა.

საქართველო უნდა იყოს სახელმწიფო თავის ეროვნული ნიშნებით, საქართველო არ უნდა დაემსგავსოს იმ NGO-ს, რომელიც გრანტის მოლოდინშია და შემკვეთის ნებას ასრულებს მხოლოდ. განა ძნელია იმის გონების თვალით დანახვა, რასაც ჩვენი პატრიარქი გვიქადაგებს?! საქართველომ მხოლოდ და მხოლოდ თავისი ტრადიციული ღირებულებებით უნდა დაიმკვიდროს თავი გლობალურ მსოფლიოში.

ჩემი აზრით, ჩვენი ხსნა ეროვნულობაში და დემოკრატიაშია. ეროვნული ფასეულობებით უნდა ვიაროთ დემოკრატიის გზაზე. ჩვენი მოქალაქეების ცნობიერებაში მყარად უნდა გაჯდეს ქვეყნის ეროვნული ნიშნები. სხვა მხრივ სახელმწიფოს ნაცვლად, ჩვენ მართლაც დიდი NGO შეგვრჩება ხელთ.

ჩვენი სახელმწიფოს უმთავრესი პრობლემა ქვეყნის შიგნითაა, ჩვენშია და რატომღაც გარეთ ვეძებთ მიზეზებს. ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო, რომ ბრძანა დიდმა ილიამ, ადამიანები იგულისხმა, უპირველეს ყოვლისა, რადგან თავისუფალი ადამიანები ქმნიან თავისუფალ სახელმწიფოს. ვიპოვოთ ჩვენი თავი და დავიმკვიდროთ იგი. ჩვენ დასაკარგი დრო აღარ გვაქვს!

**თამაზ მაყაშვილი**

◎ სამოცდაათ წელს გადაცილებულთა მოსაზრება

**პრაქტიკულად, ალბათ, ყველანი ვთანხმდებით, რომ საქართველოს 2012 წლის არჩევნების შედეგად მთავრობის შეცვლა არ იყო იგივე, რაც მაგალითად, დიდ ბრიტანეთში გორდონ ბრაუნის მთავრობის ჩანაცვლება დევიდ კემერონის მთავრობით, ანდა საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზისა — პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდით. საქართველომ უარი თქვა მმართველობის მანკიერ პრაქტიკაზე — მანიპულირებაზე, მოჩვენებითობაზე და, რაც მთავარია, უსამართლობაზე, საერთოდ, მართლმსაჯულების არარსებობაზე. სწორედ ეს უკანასკნელი მიაჩნდათ დაბრკოლებად საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრების საქმეში ჩვენს დასავლელ პარტნიორებს.**

„ნაციონალურმა მოძრაობამ“, მიუხედავად საპარლამენტო არჩევნების პერიოდში გამოყენებული უკანონო ქმედებებისა (ადმინისტრაციული რესურსი, მოსმენა, დაშინება, დაჯარიმება, დაყადაღება და სხვა), მიიღო ამომრჩეველთა მხოლოდ ორმოცი პროცენტი, შემდგომმა მოვლენებმა კი ნათლად ცხადყო, რომ მათი რეიტინგი ამაზეც მნიშვნელოვნად უფრო ნაკლებია.

მაგრამ „ნაციონალები“ არა და არ ცხრებიან, აგრძელებენ დემაგოგიურ და თავხედურ რიტორიკას, ჭკუის დარიგების პრაქტიკას.

ხომ არ არის ყველაფერი ეს შედეგი იმისა, რომ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დამარცხებული ძალის, „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ ზოგიერთმა პოლიტიკოსმა რევერანსები და მხარდამჭერი განცხადებები გააკეთა, გამოთქვა გაუგებარი მადლობები, რომლებიც, ალბათ, განპირობებული იყო საქართველოში მიმდინარე მოვლენების ადრინდელი შეფასებებისას დაშვებული შეცდომებით, სახის შენარჩუნების მცდელობით.

ნუთუ მართალია მოსაზრება, რომ დასავლეთმა აიძულა „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი, არჩევნების შემდეგ არ გამოეყენებინა ძალა (ადრინდელი გამოცდილება მას ჰქონდა), და არ დაეღვარა სისხლი. ნუთუ ამისთვის იმსახურებენ „ნაციონალები“ მადლობას?

თუ ვინმე იმსახურებს მადლობას, პირველ რიგში ეს საქართველოს მოსახლეობა და გამარჯვებული კოალიციაა, რომელმაც ამოცანად დაისახა და საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერით ბრწყინვალედ, დამაჯერებლად განახორციელა ხელისუფლების შეცვლა არჩევნების გზით.

2913 წ. ნოემბერში მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცებისას „ნაციონალების“ ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განაცხადა 42 ათასი სამუშაო ადგილის შემცირების თაობაზე.

მსმენელს (მიმდინარეობდა პირდაპირი ტრანსლაცია პარლამენტიდან) იმთავითვე გაუჩნდებოდა, როგორც ეს მოხდა მოდელირებული ქრონიკის შემთხვევაში, უნებლიე შეშფოთება — ხომ არ დაიხურა ელმავალმშენებელი ან ჩარხმშენებელი ქარხანა თბილისში, სატვირთო ავტომობილების ან მინიტრაქტორების ქარხანა ქუთაისში, მეტალურგიული კომბინატი რუსთავში, მანქანათმშენებელი ქარხანა ბათუმში, ბამბეულის კომბინატი გორში, გემთმშენებელი ქარხანა ფოთში, სამკერვალო ფაბრიკა თელავში, ან სულაც შეიძლება ლაპარაკია სოხუმის ხელსაწყომშენებელ ქარხანაზე ან ცხინვალის „ემალსადენების“ წარმოებაზე.

მაგრამ რა დახურავს იმას, რაც ისედაც კარგა ხანია, არ ფუნქციონირებს.

თუმცა, შორეული 1985 წლის სტატისტიკური მონაცემებით, მხოლოდ დედაქალაქში წელიწადში შეიქმნა 150 ცალი მაგისტრალური ელმავალი, 3120 ცალი ლითონმჭრელი ჩარხი, 2 520 ათასი ცალი ელ.ავტომატი, 41,0 ათასი ცალი ამწეს ელექტროძრავი, 16,0 ათასი ცალი ელ. შედუღების მოწყობილობა, 180,0 ათასი ცალი გაზქურა, 5,5 მლნ. გრ. მ. შალის ქსოვილი, 19.7 მლნ გრ. მ აბრეშუმის ქსოვილი, 19,8 მლნ, წყვილი წინდა, 49,2 მლნ. ტრიკოტაჟის ნაწარმი, 126,3 ათ. ტონა რძის ნაწარმი, 26,0 ათ. ტონა საკონდიტრო ნაწარმი, 22,1 ათ. ტონა დაფასოებული ჩაი, 12800 მლნ. ცალი სიგარეტი.

ამავე მონაცემებით, თბილისში მწყობრში ჩადგა 555 ათ. კვ. მ. საბინაო ფართი (დაახლოებით 10 ათ. ბინა, რომლებიც მოგვიანებით უსასყიდლოდ გადაეცა თბილისელებს პირად საკუთრებაში), 8 სკოლა 7150 სასწავლო ადგილით, 10 საბავშვო ბაღი 2050 ბავშვთა ადგილით, 4 საავადმყოფო 700 საწოლით.

საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობისგან განსხვავებით, ზოგი ჩვენთანაც და განსაკუთრებით საზღვარგარეთ, ჯერ ვერა და ვერ გაერკვა იმაში, რომ ეგრეთწოდებული „დემოკრატიის შუქურა“ დიდი ხნის წინათ, 2007 წლის 7 ნოემბერს ჩაქრა, 1011 წლის 26 მაისს კი საბოლოო გადაიწვა (ალბათ, ეს ანალოგიაა შორეული მანძილით გამოწვეული ცნობილი ბუნებრივი მოვლენისა, როცა ჩამქრალი, მკვდარი ვარსკვლავი დედამიწაზე გარკვეული პერიოდი კიდევ ანათებს).

აღსანიშნავია, რომ „შუქურები“ თავის დროზე საბჭოთა კავშირსაც ჰყავდა. ნასერი (საბჭოთა კავშირის გმირი) — ეგვიპტეში, ბენბელა (საბჭოთა კავშირის გმირი) — ალჟირში, მენგისტუ ჰაილე მარიამი (ეროვნული გმირი) — ეთიოპიაში და, რაც მნიშვნელოვანია, ფიდელ კასტრო (საბჭოთა კავშირის გმირი) — ყველაზე მძლავრი „შუქურა“ თავისუფლების კუნძულზე — კუბაში. ნაციონალები ვერა და ვერ ელევიან მოჩვენებითობას. საკმარისია აღინიშნოს მათი ვითომდა დემოკრატიულობა, ისედაც ყველასათვის წინასწარ კარგად ცნობილი, საპრეზიდენტო კანდიდატის „გამოვლენაში“ („პრაიმერიზი“ დამახასიათებელია პრაქტიკულად მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ცხოვრებისთვის. მასზე იხარჯება ცალკეული პრეტენდენტის პირადი თუ მოზიდული მრავალმილიონიანი სახსრები. „ნაციონალების“ შემთხვევაში კი ეს პროცესი განსხვავებულია. ის ხელონურობის, მოჩვენებითობის შინაარსისაა). როგორც „ნაციონალები“ აცხადებენ, მიმდინარეობს პარტიის რეორგანიზაციის და სრულყოფის პროცესი. ალბათ, უნდა ვივარაუდოთ, რომ „პრაიმერიზი“ არის ამ პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილი. ეტყობა, საქმე გვაქვს ახალ „პერესტროიკასთან“.

„ნაციონალების“ ამჟამინდელი რიტორიკა, ალბათ, იმის შედეგიცაა, რომ, როცა ციხეებში „ნაციონალური მოძრაობის“ წარგზავნილების მეშვეობით პატიმრებს აუპატიურებდნენ, პარლამენტარების უმრავლესობა ძალადობდა კონსტიტუციაზე. შედეგად მივღეთ საკონსტიტუციო კოლიზია პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადასთან დაკავშირებით.

## „ადამიანებო, იყავით ფრთხილად!“

**რაც პრეზიდენტის არჩევნებამდე ვერ მოესწრო, შეიძლება ადგილობრივი არჩევნებისას გავითვალისწინოთ**

საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტი, როგორც არჩევნებში დამარცხებული მხარის — „ნაციონალური მოძრაობის“ ხელმძღვანელი, თავად აღმოჩნდა ოპოზიციაში და თითქმის ერთი წლის განმავლობაში ახორციელებდა დესტრუქციულ ქმედებებს.

„ნაციონალები“ არ მალავენ ძალაუფლების დაბრუნების სურვილს: ჩვენ 4 წელს (ანუ არჩევნებს) ვერ დაველოდებითო, აცხადებენ ისინი.

თუ არა არჩევნებით, სხვანაირად როგორ უნდა დაბრუნდნენ ხელისუფლებაში? პროვოკაცია და საბოტაჟი — აი, მათ მიერ არჩეული გზა.

„ნაციონალების“ გზის და მისი შედეგების თავიდან აცილების მიზნით საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ უკვე დიდი ხანია, ჩაიტარა შესაბამისი ვაქცინაცია, მაგრამ ჯერ კიდევ არიან ისეთებიც, ვისაც დახმარება ესაჭიროება რეალურ სიტუაციაში გარკვევაში.

ალბათ, უპრიანი იქნება სწორედ მათ მივმართოთ: ზუსტად 70 წლის წინათ 1943 წელს ფაშისტურ გერმანიაში, ბერლინის „პლიოტცენზეეს“ ციხეში სიკვდილით დასჯილი ჩეხი მწერლის ჟურნალისტის იულიუს ფუჩიკის მოწოდებით — „ადამიანებო, იყავით ფხიზლად“ (რუსთაველის თეატრში მ. თუმანიშვილის მიერ 1951 წელს დადგმული სპექტაკლი მთ. როლებში გურამ საღარაძე, მედეა ჩახავა).

ფხიზლად უნდა ვიყოთ ყველანი, მთელი საზოგადოება. ფხიზლად უნდა იყოს მმართველი კოალიცია. ფხიზლად უნდა იყვნენ არასაპარლამენტო საღად მოაზროვნე პოლიტიკური ძალები. მოვიდა დრო, რომ მოხდეს მათი რეალური გაერთიანება და ერთ გუნდად შეკვრა.

ალბათ, საკმარისი არ არის ისეთ პატარა ქვეყანას, როგორიც საქართველოა, 4-5-ზე მეტი სრულფასოვანი, ვიმეორებთ — სრულფასოვანი პოლიტიკური პარტიის არსებობის პოტენციალი არ გააჩნია.

სრულფასოვანი პარტია ნებისმიერ სიტუაციაში, სპორტულ ტერმინოლოგიას თუ მოვიშველიებთ, მზად უნდა იყოს სათადარიგო სკამიდან საჭიროების შემთხვევაში ძირითადი მოთამაშეების შესაცვლელად. ამისათვის მას, ბუნებრივია, უნდა ჰყავდეს საარჩევნო ბრძოლებში გამობრძმედილი ჩრდილოვანი (კარგი გაგებით) მინისტრთა კაბინეტი.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ყველანი ვიყავით მოწმე, თუ როგორ გაუჭირდა გამარჯვებულ კოალიციას ჩრდილოვანი მინისტრთა კაბინეტის არარსებობის გამო.

იმედია, რომ არასაპარლამენტო პარტიების მიმდინარე კონსულტაციები შედეგიანი იქნება. გვერდზე გადაიდება პირადი ამბიციები და მოხერხდება მათი კონსოლიდაცია (კარგი იქნება, თუ ამ პროცესის დროს მოხდება საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების განხილვა, რომელიც ჩვენ წამოვაყენეთ ადრე გამოქვეყნებულ „მოსაზრებაში“. რაც საპრეზიდენტო არჩევნებამდე ვერ მოესწრო, შეიძლება გავითვალისწინოთ ადგილობრივი არჩევნებისას).

მუდმივად გვახსოვდეს მოწოდება — „ადამიანებო, იყავით ფხიზლად!

**თამაზ გაგუა,**
**ზაალ გენძეხაძე,**
**ჯემალ კუხალაშვილი,**
**ზაურ მესხიშვილი,**
**ბორის სარალიძე,**
**ზაურ ჩიტიძე.**

ყოფილი პრეზიდენტის ამბიციები




# მიშას „უჯებირო“ ფანტაზია და კიევური დივიდენდები ხელისუფლებაში დასაბრუნებლად

**უკრაინაში მიმდინარე პროცესების ტემპერატურის მატებასთან ერთად „ნაციონალური მოძრაობა“, ყველაზე მეტად კი მისი ლიდერი, ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გააქტიურდა. საინტერესოა, რა დივიდენდებს ელოდება „ფერადი“ რევოლუციების პირმშო, რომელსაც საქართველოში უკვე პოლიტიკურ წარსულად თვლიან.**

**სააკაშვილის განცხადებების შინაარსის გათვალისწინებით, საქართველოში მის პოლიტიკურ გეგმებთან დაკავშირებით პესიმიზმის საფუძველი არ უნდა არსებობდეს, მაგრამ ერთია, რა სურს სააკაშვილს, და მეორე, რისი შანსი აქვს. როგორც ჩანს, თავად თვლის, რომ უცხოეთში პოლიტიკური ქულების დაგროვება სამომავლოდ სამშობლოშიც შეიძლება წაადგეს.**

ბოლო დღეების განმავლობაში სააკაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებებსა და შეხვედრებს თუ გადავავლებთ თვალს, აშკარაა, რომ დასავლეთის თვალში პოლიტიკური გააქტიურების მცდელობასთან გვაქვს საქმე. სიახლე არ არის, რომ სააკაშვილის განცხადებები და ქმედებები მხოლოდ დასავლეთზეა გათვლილი. ეს ხდება მისი პრეზიდენტობის შემდეგაც და ეს ხაზი მუდმივად ფიგურირებდა მისი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდშიც.

შესაძლოა, მის ამ ტაქტიკას წლების მანძილზე შეცდომაშიც შეჰყავდა დასავლელ პოლიტიკოსთა ნაწილი, მაგრამ საქართველოში ჩატარებულმა ბოლო ორმა არჩევნებმა დაადასტურა, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ხელისუფლებაში მობრუნების უმცირესი შანსი აქვს დარჩენილი.

როგორც ექსპერტი **ნანა დევდარიანი** თვლის, სააკაშვილი საერთაშორისო ასპარეზზე იმიტომ აქტიურობს, რომ აქ აღარავის აინტერესებს მისი ამბები.

„უმტკიცებს დასავლეთს, რომ მასავით დასავლეთის ერთგული არავინ არის. მთელი ეს დროშის ფერებში სიარული, უკრაინაში ჩასვლა და ჭმუნვა იმაზე, რაზეც ათასჯერ უარესი აქვთ აქ გაკეთებული, მხოლოდ ამას ემსახურება“, — აცხადებს დევდარიანი.

სააკაშვილი საკუთარი აქტივობის შესახებ ინფორმაციას „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე ავრცელებს, მაგალითად, ორიოდე დღის წინათ საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს უმაღლესი საბრძოლო ჯილდო ყველა დროის ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ მხედართმთავარს, ავღანეთის და ერაყის ოპერაციებისა და ამერიკის შეერთებული შტატების გენერალური შტაბის ყოფილ მეთაურს, ცენტრალური სადაზვერვო ბიუროს ყოფილ ხელმძღვანელს, გენერალ დევიდ პეტრეუსს გადასცა, საქართველოს ჯარის მშენებლობისა და პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის - დაჯილდოების შესახებ განკარგულებას მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის ბოლო დღეს მოეწერა ხელი.

ყოფილი პრეზიდენტის „ფეისბუქის“ მეშვეობით ასევე ვრცელდება ინფორმაცია სააკაშვილის ამერიკელ პოლიტიკოსებთან შეხვედრების შესახებ.

სააკაშვილი აქტიურობს უცხოურ მედიასთან ურთიერთობაშიც, „ჩვენ რომ რადიკალური რეფორმები არ გაგვეტარებინა, შესაძლოა, ხელისუფლება კიდევ უფრო დიდხანს შეგვენარჩუნებინა“,-აცხადებს სააკაშვილი უკრაინულ ტელეკომპანია TBI-სთან ინტერვიუში.

მისივე თქმით, ყველაფრის თავიდან გაკეთება რომ მოუწიოს, კიდევ უფრო რადიკალური იქნებოდა და უფრო მეტს გააკეთებდა განათლების სფეროში.

„ჩემი აზრით, ახალი თაობა გაიზარდა, ბევრი მათგანი საკუთარ თავს მიშას თაობასაც კი უწოდებს. ეს ადამიანები ისევ საქართველოში არიან და ქვეყნის წარსულში დაბრუნებას არასდროს დაუშვებენ“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

უკრაინულ ტელეკომპანიასთან საუბრისას საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა საკუთარ პოლიტიკურ ამბიციებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ თავად არ დაღლილა, თუმცა, ხალხს სჭირდება მისგან დასვენება.

„რა იქნება მერე, ახლა ამის თქმა მიჭირს. ეს ბევრ ფაქტორზე, მათ შორის, სამწუხაროდ, გეოპოლიტიკურ ფაქტორზეცაა დამოკიდებული, იმაზე, თუ რა იქნება ჩვენს ქვეყანაში, ასევე უკრაინაში. ახლა საქართველოს ბედი და გარკვეულწილად ჩემი ბედიც (იმიტომ, რომ ამ რეგიონის საზოგადოების ნაწილი ვარ), იმაზეა დამოკიდებული, თუ რა იქნება უკრაინაში. შეძლებს თუ არა უკრაინა საბოლოოდ ევროპაში გარღვევას თუ ანტიევროპული, პროპუტინური ძალები შეძლებენ აქ საკუთარი პოზიციების გამყარებას“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ექსპერტი **რამაზ საყვარელიძე** თვლის, რომ ევროპული ლოგიკა და აზროვნება სააკაშვილის ტყუილის მასშტაბებზე არ არის გათვლილი.

„სააკაშვილმა თვითონ არ იცის, რომ რეფორმების კი არა, ციხის თემა იყო აქტუალური არჩევნების წინ? თუ არ იცის, ბოდიში რატომ მოიხადა ამ თემაზე? — ძალიან კარგად იცის ყველაფერი, უბრალოდ არ ერიდება ტყუილს. ევროპელებთან ასეთი ტყუილები რომ არ გადიოდეს, არ იტყოდა მსგავს რამეს. სამწუხაროდ, ტყუილის ის ხარისხი, რაც შეუძლია, „ნაციონალურ მოძრაობას“ გაახმოვანოს, გულუბრყვილო ევროპელებს ვერც კი წარმოუდგენიათ რომ არსებობს — თვლიან რომ 100 სიტყვიდან 50 მაინც მართალია — 100-დან 100-ვე რომ ტყუილია, ამისი დაჯერება ცოტა უჭირთ“, — აცხადებს რამაზ საყვარელიძე.

სააკაშვილი უკრაინელებს დემოკრატიის გაკვეთილებსაც უტარებს და აცხადებს, რომ თურმე, საქართველოში გამართული აქციების დროს, ხელისუფლებას „თითი არ გაუნძრევია“, აქციები ისე დაიშალა.

**ნანა დევდარიანი:** „ეს კაცი რომ პათოლოგიური მატყუარაა, უკრაინელებმა თუ არა, ჩვენ მაინც ხომ ვიცით! თუმცა, ეჭვი მეპარება, რომ ეს უკრაინაშიც არ იცოდნენ. ნებისმიერ გამოსვლაში შავზე თეთრს ამბობს და არც ეს არ არის გამონაკლისი. ეს ემსახურება იმას, რომ დიადი დემოკრატია — ჩერჩილისა არ იყოს, ომი მოვიგე და აღარ ამირჩიესო, ეს ამბობს რეფორმები გავატარე და იმიტომ აღარ ამირჩიესო. უკრაინელები მის სიმართლეს იმის მიხედვით მაინც უნდა მიხვდნენ, რა ტიპის რეფორმებს ითხოვს მისგან ევროპა. ის, რომ „თითი არ გაუნძრევია“ და აქციები თვითონ იშლებოდა, გასაგებია, ჯერ არ უთქვამს, საქართველოში აქციები საერთოდ არ ყოფილაო“?!

**„მიშას გათვლა აქვას მხოლოდ საკუთარ თავზე, მისი ლოგიკა ასეთია: რაც უარესი — მით უკეთესი. რაც უფრო ცუდად იქნება საქმე საქართველოში, გნებავთ, უკრაინაში, ან მთელ მსოფლიოში, ის ურჩევნია. ეს არის კაცი, რომელიც მღვრიე წყალში იჭერს თევზს და ყოველგვარი მღვრიე სიტუაცია აწყობს“.**

**გარდა ხელისუფლებაში დაბრუნების წყურვილისა, სააკაშვილს, შესაძლოა, სხვა ასპექტებიც ამოძრავებდეს. ნანა დევდარიანი თვლის, რომ აქ მეორე მომენტიც არის გასათვალისწინებელი.**

არსებობს მოსაზრება, რომ სააკაშვილი ამ ეტაპზე დივიდენდებს აგროვებს, საქართველოში კი მას შემდეგ გააქტიურდება, რაც ქვეყანას ეკონომიკური კრიზისი შემოუტევს. მსგავსი რამ მართლაც მოხდება თუ არა, ძნელი სათქმელია, მაგრამ, როგორც ამბობენ, ნაციონალთა რიგებში სოციალური პრობლემების ფონზე ხალხის ხელისუფლების წინააღმდეგ გააქტიურების და ხელისუფლებაში დაბრუნების გეგმა დიდი ხანია, განიხილება.

**რამაზ საყვარელიძე:** „სააკაშვილს და მის გუნდს რაღაც ანალოგიური გათვლა რომ აქვს, ჩანს თუნდაც იმაში, რომ არა მარტო ოპოზიციონერის როლი მოირგეს, არამედ ყველა წვრილმანზე იძლევიან რეაქციას და ცდილობენ, საზოგადოებრივი აზრის გადახრა მოახდინონ. მაგალითად, რომ თითქოს, ევროპასთან ურთიერთობის სურვილი არ აქვს ამ ხელისუფლებას და ამიტომ დადგენილებას არ იღებს ან სვანების თემა წამოიწია იმიტომ, რომ ეს რუსეთის ჩაწყობილია, რომ გაყოს საქართველო, თუ რაღაც ამდაგვარი - პრაქტიკულად, ყველა მსხვილმან თუ წვრილმან ამბავზე წამგებიანი თუ მომგებიანი პოზიციით დაპირისპირებას აქვს ადგილი, რაც ნიშნავს, რომ ეს გუნდი აპირებს ბრძოლას, არ არის გულხელდაკრეფილი და თანაც აპირებს ბრძოლას დღევანდელი ხელისუფლების დისკრედიტაციის ხარჯზე. ამას რამდენად შეუწყობს ხელს დღევანდელი ხელისუფლება, ეს სხვა საკითხია“.

**ნანა დევდარიანი:** „სოციალურ აფეთქებაზე ნურც იოცნებებს იმიტომ, რომ საქართველოს არ ახსოვს მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, ხალხი სოციალური თემების გამო გარეთ გამოსულიყო. თუ გარეთ გამოვა, გამოვა იმიტომ, რომ ნაციონალები კიდევ ამდენს ბედავენ, ამდენს ლაპარაკობენ და იქით სდებენ ვალს. მსგავსი წინაპირობები იყო და ამ კონტექსტში განვიხილავ ჯაჭვლიანისა და ბარამიძის ინციდენტსაც — არ არის სამართლიანობა აღმდგარი. ადამიანთა ნაწილი თავს ვერ თოკავს, ნაწილი თვითონ ცდილობს, სამართლიანობა აღადგინოს და ეს არაფერ კარგს არ მოიტანს. ასე რომ, ყველანაირი გამწვავება ისევ ნაციონალებისთვის იქნება საშიში“.

აისრულებს თუ არა ოცნებას სააკაშვილი, ძნელი სათქმელია, არგუმენტად მისი, რაც არ უნდა დაბალი რეიტინგი რომ მოვიშველიოთ, ფაქტია და არც უარყოფს, რომ სამომავლო გეგმები აშკარად აქვს. გვახსოვს სააკაშვილი „ვარდების რევოლუციის“ წინა პერიოდშიც, როდესაც მას სერიოზულ პოლიტიკოსად ცოტა თუ აღიქვამდა და მასზე თვით ზურაბ ჟვანიას გუნდიც კი ღიმილით საუბრობდა. მაშინ სიტუაცია იმგვარად შემობრუნდა, რომ ოპოზიციურ სამეულს, ხელისუფლება, შეიძლება ითქვას, მათთვის მოულოდნელადაც კი ჩაუვარდა ხელში. დღეს ისეთი აქტივები, როგორიცაა ხალხში შეუბღალავი რეპუტაცია და მაღალი ნდობა, სააკაშვილს უკვე აღარ აქვთ, აღარც ჟვანია და ბურჯანაძე ჰყავს გვერდით. მოახერხებს თუ არა მხოლოდ დასავლეთის მხარდაჭერის ხარჯზე საკუთარი პოლიტიკური მომავლის დაბალანსებას, ძნელი სათქმელია. სააკაშვილს, როგორც ჩანს, ევროპაში მორიგი გეოპოლიტიკური გადათამაშების დიდი იმედიც აქვს და, შესაძლოა, იმის ილუზიაც, რომ ხვალ ან ზეგ დასავლეთი მას საქართველოს ხელმძღვანელად დანიშნავს. საქართველოში არსებული საზოგადოებრივი განწყობებისა და გამოცდილების გათვალისწინებით კი, ძალზე რთულია სააკაშვილმა მოიპოვოს მთავარი — ხალხის მანდატი, რაც ხელისუფლების ხელში ასაღებად არის საჭირო.

**რამაზ საყვარელიძე:** „რაზეა ორიენტირებული ეს ერთია, რამდენად რეალურია ეს ორიენტაცია — სხვაა. ხალხმა როგორც ხელისუფლება „ქართული ოცნება“ შეიძლება არც აირჩიოს მომავალ არჩევნებში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ხალხის რჩეული „ნაციონალური მოძრაობა“ გახდება, რომლის ნამოქმედარი ხალხს ახსოვს და იმედია, მომავალში კიდევ ემახსოვრება.

არ მგონია, აღიდგინოს სააკაშვილმა ძველი იმიჯი და ეს კარგად ჩანს დასავლეთის ბოლოდროინდელი ნაბიჯებიდან. როგორც ვაკვირდები, გარდა გარკვეული წრეებისა, რომლებსაც ისედაც ჰქონდათ ურთიერთობა სააკაშვილთან, ასე ვთქვათ, სააკაშვილის მეგობარი პარტიების გარდა, დასავლეთში ეს თემა დაამთავრეს. პარაფირების პროცესს ხელი არაფერმა შეუშალა, ტემპიც კი არ შეუნელებია. მეორე მხრივ, ვაკვირდებით აშშ-ის ელჩის მოქმედებებსა და განცხადებებს, საიდანაც აშკარად ჩანს მისი განწყობა — კერძოდ, რომ დიდად არ ნანობს სააკაშვილის ხელისუფლებიდან წასვლას, არც როგორც პიროვნება და არც როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელი, რაც ბუნებრივია — ობამას ფავორიტი სააკაშვილი არასდროს არ ყოფილა. ასე რომ, ვის თვალში აღდგება მისი იმიჯი, პრაქტიკულად, წარმოუდგენელია, ვიმეორებ, თუ არ მოხდა შეცდომების კასკადი დღევანდელი ხელისუფლების მხრიდან. ასეთი შეცდომების კასკადი კი ნამდვილად არ ჩანს.

**ნანა დევდარიანი:** „სააკაშვილი ყველანაირად ეცდება ხელისუფლებაში დაბრუნდეს ამა თუ იმ სახით. არც რევოლუციაზეა უკან დამხევი. უბრალოდ, საქართველოში აღარ მეგულება ისეთი ადამიანები, რომ ისევ „გადაყლაპონ“ ის სიცრუე, რაც იყო 2003-ში. გახსოვთ, რა ლოზუნგებით მოვიდა? — „თავისუფლება“, „დემოკრატია“ და ა.შ. — რა იყო შემდეგ 9-10 წელი, ყველამ ვნახეთ.

მიშას გათვლა აქვას მხოლოდ საკუთარ თავზე, მისი ლოგიკა ასეთია: რაც უარესი — მით უკეთესი. რაც უფრო ცუდად იქნება საქმე საქართველოში, გნებავთ, უკრაინაში, ან მთელ მსოფლიოში, ის ურჩევნია. ეს არის კაცი, რომელიც მღვრიე წყალში იჭერს თევზს და ყოველგვარი მღვრიე სიტუაცია აწყობს“.

გარდა ხელისუფლებაში დაბრუნების წყურვილისა, სააკაშვილს, შესაძლოა, სხვა ასპექტებიც ამოძრავებდეს. ნანა დევდარიანი თვლის, რომ აქ მეორე მომენტიც არის გასათვალისწინებელი:

„ყველანაირად ეცდება, რომ დიდი აჟიოტაჟი შექმნას საკუთარი თავის გარშემო, რომ არ დაიჭირონ. თუ დაიჭერენ, ყვირილს დაიწყებს, — უკრაინაში რომ დემოკრატიას მხარს ვუჭერდი, იმიტომ დამიჭირეს პუტინის დაკვეთითო. ისედაც იძახის, რომ თურმე პუტინს ფული ჰქონია გადახდილი მისი ხელისუფლებიდან გაშვებაში. მის ფანტაზიას ჯებირები არ აქვს და თავისიანებიც ჰყავს. ბევრნი არ არიან, მაგრამ ვინც არიან... დააკვირდით, როდესაც პოლიტიკაში იყო, მუდმივად თავდასხმის რეჟიმში იმყოფებოდა და დღესაც ასეა. თავდასხმა კი თავდაცვის საუკეთესო საშუალებაა“.

ლოგიკურიცაა — პოსტსაბჭოთა სივრცეში ფერადი რევოლუციების გულმხურვალე მხარდამჭერი პრეზიდენტის სისხლის სამართლებრივი დევნა მართლაც საკმაოდ ხმაურიანი საქმე იქნებოდა. მთელი ამ კამპანიით კი სააკაშვილი და მისი გუნდი (რომელიც შემორჩა), ხელისუფლებაში დაბრუნებას თუ ვერა, საკუთარი თავის უსაფრთხოების უზრუნველყოფას მაინც მოახერხებს. თუმცა, ესეც ახალი ხელისუფლების ნებაზე, მის ნიჭზე, უნარსა და გამჭრიახობაზეა დამოკიდებული — შეძლებენ და „გააჩუმებენ“ ნაციონალებს თუ უცხოური ტრიბუნებიდან და მედიიდან საკუთარი თავის მადისკრედიტირებელი ინფორმაციის მოსმენას ისევ მოთმინებით გააგრძელებენ.

**მარიამ თოდაძე**

**◎ დაბერებული საქართველოს პრობლემა**

# ასაკობრივი დისკრიმინაცია – კიდევ ერთი გამოწვევა

**მეოცე საუკუნეში ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა წინა საუკუნესთან შედარებით დაახლოებით 30 წლით გაიზარდა და 2000 წლისთვის აშშ-ში 77 წელი შეადგინა. ხანდაზმულთა ხვედრითი წილის მნიშვნელოვანმა ზრდამ საზოგადოებაში თვისებრივი ცვლილებები მოითხოვა. ასაკოვანი ადამიანებისადმი ღირსეული დამოკიდებულების ჩამოყალიბებით მსოფლიოში გამოირჩევიან და მოწინავე პოზიციებს იკავებენ იაპონია და გერმანია, სადაც სიცოცხლის ხანგრძლივობა ერთ-ერთი ყველაზე მაღალია, შესაბამისად — 81 და 78 წელი. მნიშვნელოვანი წარმატებები აქვთ სხვა განვითარებულ ქვეყნებს და, რაც მთავარია, ყველგან იგრძნობა სერიოზული მიდგომა ამ საკითხებისადმი.**



საქართველოში ასაკოვანი ადამიანებისადმი ტრადიციულად მოკრძალებული დამოკიდებულებისა და ხშირ შემთხვევაში მათი განსაკუთრებული როლის მიუხედავად (რასაც ადასტურებს, თუნდაც ოჯახის უფროსის, მთიან რეგიონებში კი უხუცესთა ინსტიტუტის გავლენა და სხვ.), სამწუხაროდ, ეიჯიზმის მხრივ გასულ საუკუნეში სერიოზული პრობლემები წარმოიშვა, ბოლო ათწლეულში კი იმძლავრა განსაკუთრებით მახინჯმა, დამღუპველმა ფორმებმა და უახლოეს მომავალში რაიმე სერიოზული პოზიტიური ცვლილებების პერსპექტივა არ შეიმჩნევა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით 2012 წელს უმუშევრობის დონე კიდევ უფრო გაიზარდა 40-44 და 55-59 წლების ასაკობრივ ჯგუფებში. ამავე მოხსენებაში ვხვდებით ასეთ ბრძნულ დასკვნას: „65+ საპენსიო ასაკია და მოსახლეობის დიდი ნაწილი არ არის დასაქმებული, არ ეძებს სამუშაოს და, შესაბამისად, არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას მიეკუთვნება“.

სტატისტიკის სამსახურის მოხსენებაში ამგვარი ზერელე დასკვნების შემდეგ, გასაკვირი არ არის, რომ „გაერთიანებული ერების ევროპის ეკონომიკური კომისიის 2011 წლის მონაცემების“ მოშველიებით საქართველო ლატვიასა და ხორვატიას შორის განუთავსებიათ უმუშევრობის 15-პროცენტიანი მაჩვენებლით.

საქართველოში, სხვადასხვა მონაცემებით, სიცოცხლის ხანგრძლივობა დაახლოებით 67 წელია, ქვეყანაში 840 ათასამდე პენსიონერია და 600 ათასი დაქირავებით დასაქმებული, რაც პენსიის სიმცირის ერთ-ერთი მიზეზია. თუ ახალი სამუშაო ადგილები არ შეიქმნა, ამ ვითარების გამოსწორება ვერ მოხერხდება.

სწორედ ასაკობრივი დისკრიმინაციის საკითხებზე გვსურს ყურადღების გამახვილება, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ პრესაში და ინტერნეტსივრცეში პერიოდულად ვრცელდება პუბლიკაციები ასაკობრივი დისკრიმინაციის შესახებ, ეს საკითხი იჩრდილება სხვა, ასევე აქტუალური პრობლემატიკით და ვფიქრობთ, უფრო მეტ ყურადღებას და დეტალურ გამოკვლევას მოითხოვს, **რადგან აქ დაგვიანება პირდაპირი მნიშვნელობით სიკვდილის საფრთხის შემცველია ათეულ ათასობით დამსახურებული, ქვეყნისა და ერის მოჭირნახულე ადამიანისთვის.**

**საქართველოში, სხვადასხვა მონაცემებით, სიცოცხლის ხანგრძლივობა დაახლოებით 67 წელია, ქვეყანაში 840 ათასამდე პენსიონერია და 600 ათასი დაქირავებით დასაქმებული, რაც პენსიის სიმცირის ერთ-ერთი მიზეზია.**

მკვლევრები განასხვავებენ მოსახლეობის დაბერების ბიოლოგიურ, სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ასპექტებს, რომლებიც მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ცნობილი ამერიკელი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე რობერტ ბატლერი იყო პირველი, ვინც იხმარა ტერმინი ეიჯიზმი, როგორც უარყოფითი ან დამამცირებელი დამოკიდებულება სხვა ადამიანის მიმართ ასაკის გამო. მან ეიჯიზმი განსაზღვრა, როგორც ზოგიერთი ახალგაზრდისა და ზრდასრული ადამიანის ღრმად დამალული შფოთვის გამოვლინება მოხუცი ადამიანებისადმი, დაავადებებისადმი, ინვალიდობისადმი. მათი პიროვნული ზიზღი, დაუცველობის, უსარგებლობისა და სიკვდილის შიში. მოგვიანებით, ეიჯიზმი მან აღწერა, როგორც პროცესი, რომელიც ეფუძნება მუდმივ სტერეოტიპიზაციას და დისკრიმინაციას დაბერების, ასაკის მომატების გამო. ასეთი ტიპის დისკრიმინაცია შეიძლება მოიცავდეს ყველა ასაკობრივ ჯგუფს, თუმცა, ყველაზე ხშირად ხანშიშესულ ადამიანებთან დამოკიდებულებას ეხება და ჩვენ ამ ასპექტით განვიხილავთ მას. ამაგვარ დისკრიმინაციას გამორიცხავს მაგალითად, ის, რომ ანგელა მერკელის მთავრობაში უკვე 8 წელია, მინისტრის პოსტი უკავია ვოლფგან შოიბლეს, რომელიც 1990 წლიდან პარალიზებულია და ინვალიდის ეტლით გადაადგილდება.

სხვათა შორის, მან ახლახანს (71 წლის ასაკში) განაცხადა, რომ მზად არის, მომდევნო 4 წელი კვლავ განაგრძოს ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე მუშაობა. ალბათ გერმანიაში არ გაძნელდებოდა ვინმე ახალგაზრდის მოძებნა, რომელიც კიდეც იმინისტრებდა და ზოგჯერ მაგიდაზეც იცეკვებდა, მაგრამ იქ, ეტყობა, სხვა კრიტერიუმებით ხდება შერჩევა. აღსანიშნავია, რომ თავად ა. მერკელი 36 წლის ასაკში ყველაზე ახალგაზრდა მინისტრი იყო ჰელმუტ კოლის მთავრობაში (მას ქალებისა და ახალგაზრდობის საკითხთა მინისტრის თანამდებობა ეკავა). ასეთი მაგალითების მოყვანა კიდევ მრავლად შეიძლება განვითარებული ქვეყნების სინამდვილიდან, მაგრამ სამწუხაროდ, ფრიად იშვიათია ჩვენში, რაც მთლიანად სოციალურ-ეკონომიკურ მიღწევებზეც აისახება.

თანამედროვე პირობებში ქვეყნის ადგილის განსაზღვრისას შედარებით უკანა პლანზე გადადის ნედლეულის მარაგებისა და იაფი მუშახელის ფაქტორები, ხოლო ადამიანისეული კაპიტალის ხარისხი და მაღალი ტექნოლოგიების გამოყენების დონე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ლინგვისტური გამოკვლევების თანახმად თანამედროვე ევროპულ კულტურაში მყარად დამკვიდრდა შეფასებითი კონტინუუმი „ახალგაზრდობა-სიბერე“. ამასთან, პირველი პოლუსი პოზიტიური მახასიათებლების (სილამაზე, ჯანმრთელობა, ენერგიულობა, პერსპექტიულობა და ა.შ.), ხოლო მეორე — ნეგატიურის (ავადმყოფობა, უძლურობა, გონებასუსტობა და ა.შ.) შემცველია. თუმცა, აღსანიშნავია, ისიც, რომ ევროპულ ენებში სიტყვა „სიბერის“ ეტიმოლოგია სულაც არ არის მხოლოდ ნეგატიურთან დაკავშირებული. ინგლისურში სიტყვით „აგეინგ“ აღინიშნება ერთდროულად როგორც „დაბერება“, ასევე „ზრდა“. გერმანული „ალტერ“ (სიბერე) მჭიდრო კავშირშია სიტყვასთან „ელტერნ“ — „მშობლები“. რუსული „стариый“ ასოცირებს „მაგართან“ (крепкий).

ქართულ კულტურაში ისეთი მნიშვნელოვანი ფენომენი, როგორიცაა სადღეგრძელო სწორედ ასაკთან ასოცირდება. მოხუცებულობის მიღწევაა ყველაზე სასურველი საახალწლო სურვილიც — „ტკბილად დაბერება“, მთლიანდ ქართული მენტალიტეტი, ცალკეული გამონაკლისების მიუხედავად, ასაკოვანი ადამიანისადმი პატივისცემითაა გამსჭვალული. საბჭოთა რეჟიმის დამყარებიდან თითქმის 50-იან წლებამდე პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობაში ახალგაზრდები ჭარბობდნენ, რომლებიც, ბუნებრივია, არ წყალობდნენ ძველი დროის სპეციალისტებს, გაუთავებელი წმენდებისა და მასობრივი რეპრესიების გზით უსწორდებოდნენ, როგორც უფროსი თაობის წარმომადგენლებს, ისე თავის თანამებრძოლებს, რაც საბოლოოდ მასობრივ რეპრესიებში გადაიზარდა და თავის კულმინაციას 1937 წელს მიაღწია.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში კომუნისტი ბელადების დაბერებისა და უძრაობის პირობებში ასაკობრივ დისკრიმინაციაზე უფრო ახალგაზრდების მიმართ შეიძლებოდა საუბარი. მაგრამ დადგა სანატრელი დამოუკიდებლობის ხანა და ხელისუფლებაში, ცენტრში თუ ადგილებზე, სრულიად შეუფერებელი, არაკომპეტენტური ადამიანები — მედოლეები, მხატვრები, არტისტები და ზოგჯერ აშკარა კრიმინალები მოხვდნენ. საყოველთაო კორუფციის დასაძლევად „ვარდების რევოლუციის“ მესვეურებმა ხელაღებით „ჩარეცხეს“ თაობები და ქვეყნის მართვა სრულიად უსწავლელ ყმაწვილებს დააკისრეს, რომლებიც ხანმოკლე მინისტრობის შემდეგ, ხანგრძლივად სასწავლებლად წავიდნენ და ზოგი ჯერაც არ დაბრუნებულა. დასანანია, რომ ხელისუფლება მნიშვნელოვან წილად კვლავ უსწავლელ ახალგაზრდებს ეყრდნობა და გახედვაც არ უნდა ასაკოვანი პროფესიონალებისკენ, რაც წინა წლებში დამკვიდრებული „ეიჯისტური გენოციდის“ გაგრძელებას ნიშნავს.

ამრიგად, თანამედროვე საქართველოში ასაკობრივი დისკრიმინაცია — ეიჯიზმი სერიოზულ პრობლემად გვევლინება და მისი გადაჭრისათვის თეორიული კვლევა და კონკრეტული პრაქტიკული ღონისძიებებია საჭირო, რათა არ მოხდეს თაობათა დაპირისპირება და წყვეტა მემკვიდრეობითობაში, აქედან გამომდინარე ნეგატიური შედეგებით მთელი საზოგადოებისთვის.

**სოლომონ პავლიაშვილი,**
**ბესარიონ კიწმარიშვილი.**

**◎ საბოტაჟის თანხლებით?**

# ბიუჯეტის შევსების მცდელობა

**წინა ხელისუფლების პერიოდში წესად იყო მიღებული წლის ბოლოს ბიუჯეტის შევსების მიზნით საგადასახადო და საშემოსავლო სამსახურების მიერ მსხვილი და საშუალო ბიზნესის „დაწიოკება“ (მათ ეს „სიამოვნება“ არც „ნაცების“ ორგანიზებულ ფართომასშტაბიანი ღონისძიებების ჩატარებისა და მმართველი ელიტის საზღვარგარეთ გაფართოებული ვიზიტების დროსაც აკლდათ), მათ ვინც ხარკს უსიტყვოდ არ გაიღებდა, საფინანსო კომისიას უგზავნიდნენ შესამოწმებლად, რომელიც „დანაშაულს“ — დარღვევას აუცილებლად აღმოუჩენდნენ, იწერებოდა ასტრონომიული ჯარიმები, საქმე, იმ დონემდეც კი მიდიოდა, რომ ზოგიერთს თავისი ობიექტის დახურვაც კი უხდებოდა. ამის გამო, მეწარმე თუ ბიზნესმენი შეთავაზებულ თანხას უმალ იხდიდა.**

1 ოქტომბრის შემდეგ ბიზნესთან მიდგომა აშკარად უკეთესობისაკენ შეიცვალა. ბიზნესმენებსა და მეწარმეებს აღარ იბარებენ ფინანსთა და შს სამინისტროებში, აღარ უწესებენ გადასახადის „ტაქსას“ და ა.შ. მფლობელებს აღარ აქვთ შიში, რომ მაკონტროლებელი ორგანოები დღის ნებისმიერ მომენტში შეაღებენ მათი ობიექტის კარს და დაიწყებენ საბუთების ქექვას, ერთადერთი მიზნით — „აღმოაჩინონ“ დარღვევა. დადებითი ტენდენცია დღესაც გრძელდება, მაგრამ მას შემდეგ, რაც ოპოზიციამ ყიჟინა ატეხა და ფინანსთა მინისტრიც დაეთანხმა მათ, რომ წლის ბოლოსათვის ბიუჯეტს სავარაუდო 800 მლნ ლარი დააკლდებოდა, სიტუაცია საშუალო, წვრილ, ინდივიდუალურ მეწარმეებთან მიმართებაში ნაწილობრივ შეიცვალა. ეს განაპირობა იმ ფაქტორმაც, თვლიან ექსპერტები, რომ ფინანსთა მინისტრმა ხადურმა საჯაროდ განაცხადა, რომ მისი უწყება ყველანაირად შეეცდებოდა, ბიუჯეტში გარღვევა მინიმუმამდე დაეყვანა.

როგორც ბაზრობებზე მოვაჭრეები აცხადებენ, ბოლო დროს საშემოსავლო სამსახურმა გეზი წვრილი მაღაზიების, გარე მოვაჭრეებისა და ბაზრობებისაკენ აიღო. ბაზრობის ერთ-ერთი მოვაჭრე ალიკო ანდღულაძე გვეუბნება, რომ **ჩამონათვალ ობიექტებზე სისტემური ხასიათი მიიღო დაჯარიმებებმა. ბაზრობებზე უსაფრდებიან ყველას და ნებისმიერ ნავაჭრში ზედნადებს ითხოვენ. საბუთის არარსებობის შემთხვევაში ჯარიმა 100-სა და 500 ლარს შორის მერყეობს. ჩვენთან მოსაუბრის განმარტებით, საშემოსავლო სამსახურის თანამშრომლები არც კი ინტერესდებიან მოვაჭრეს საქონელი გასაყიდად მიაქვს თუ თვითონაც შეძენილი აქვს სახლში წასაღებად.** ჩვენს რესპონდენტს მაგალითად მოჰყავს, როდესაც მოვაჭრემ დახლში დროებით სხვა დატოვა, თვითონ კი საკუთარ მანქანაში 60-კილოგრამიან სხვადასხვა პროდუქტებით დატვირთულ ყუთს დებდა სახლში წასაღებად, საშემოსავლოს თანამშრომლებმა უმალ 500-ლარიანი ჯარიმა გამოუწერეს.

იხ. 6 გვ.

# ისლამური საფრთხეები გაზვიადებულია, თუმცა, გარკვეული რისკები არსებობს

**საქართველოში ისლამის პოლიტიკურ ასპექტებზე „ინტერპრესნიუსი“ სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრში მომზადებული წიგნის — „ისლამის პოლიტიკური ასპექტები საქართველოში“ ერთ-ერთ თანაავტორს, ექსპერტს გიორგი გვიმრაძეს ესაუბრა.**

**— ბატონო გიორგი, რამდენად მართებულია მტკიცება, რომ საქართველოში ისლამს პრობლემები არასოდეს ჰქონია, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას სულ მუსლიმურ სამყაროსთან ჰქონდა ომები? უფრო სწორად, თქვენი შეფასებით, როგორია საქართველოში ისლამის ისტორია?**

— ბუნებრივია, ურთიერთობები უპრობლემო არ ყოფილა და ვერც იქნებოდა. ჩვენ ვიყავით ძირითადად ისლამურ გარემოცვაში და დღემდე ჩვენს გარშემო სახელმწიფოთა უმრავლესობაში ან ამ სახელმწიფოებში ჩვენი მოსაზღვრე რეგიონების მოსახლეობის დიდი ნაწილი ისლამის აღმსარებელია. მეტიც — ისტორიული პროცესის შედეგად, ჩვენს რეგიონში რელიგიათა საზღვარი არა სახელმწიფოებზე, არამედ რეგიონებზე გადის, მათ შორის საქართველოშიც. თავად ამ პროცესს, გამოკვეთილად ნეგატიურს ან პოზიტიურს ვერ ვუწოდებთ.

თუმცა, ობიექტურობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ქართული საზოგადოების ისტორიული მეხსიერება ისლამის მიმართ მეტწილად ნეგატიურია, რაც ქმნის კიდეც პრობლემებს დღევანდელ საქართველოში ნორმალური სამოქალაქო პროცესის წარმოებისათვის. მეორე მხრივ, ჩვენ გვაქვს საკმაოდ საინტერესო თანაცხოვრების პრაქტიკა, რაც, შესაძლოა, თანამედროვე საქართველოში გამოვიყენოთ სახელმწიფოს ფორმირების პროცესში.

**— ცნობილია, რომ საქართველოში დღეს საკმაოდ ბევრი მუსლიმი ცხოვრობს, როგორც ეროვნებით ქართველები, ისე — არაქართველები. სავარაუდოდ, როგორია საქართველოს მუსლიმების ზოგადი აღწერა?**

— „საქსტატის“ მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის მონაცემებით, რომელიც 2002 წელს ჩატარდა, საქართველოში მოქალაქეთა დაახლოებით 10% ისლამის აღმსარებელია. მათი შემადგენლობა, როგორც აღნიშნეთ, საკმაოდ მრავალფეროვანია, როგორც ეთნიკური თვალსაზრისით, ისე შიდა ისლამური დენომინაციებისადმი მიკუთვნებულობით. საქართველოში ცხოვრობენ მუსლიმი აღმსარებლობის აზერბაიჯანელები, დაღესტნური წარმოშობის ავარელები, ვაინახური წარმოშობის ქისტები (ჩეჩნები, ქისტებს მათ მხოლოდ საქართველოში უწოდებენ), ირანული წარმოშობის ლაიჯები და, ბუნებრივია, ეთნიკურად ქართველი აჭარლები და მესხები.

ჩვენს კვლევაში არ და, უფრო ვერ შევეხეთ აფხაზეთში არსებულ მუსლიმურ თემს. შიდა ისლამური დენომინაციების მიმართულებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში სახლობენ შიიტებიც და სუნიტებიც, მათ შორის განსხვავებული სუნიტური მაზჰაბების (მიმართულებების) წარმომადგენლები და არცთუ მცირე ჯგუფია სალაფიტების. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ყველა ეს ჯგუფი ძირითადად დასახლებულია კომპაქტურად.

**— როგორია მუსლიმთა მდგომარეობა აჭარაში, პანკისის ხეობაში, მარნეულის რაიონში?**

— ზოგადად სოციალური ფონი ხშირად არ განსხვავდება სხვა რეგიონებში მცხოვრები თუნდაც არამუსლიმი მოსახლეობის მდგომარეობისაგან. თუმცა, ბუნებრივია, ამ ზოგად სოციალურ ფონს თან ერთვის სპეციფიური პრობლემები. აჭარლებთან მიმართებაში ხშირია რელიგიური შეუწყნარებლობის ფაქტები და აქვე არ უნდა დავივიწყოთ მესხები. საერთოდ საინტერესოა, რომ უკანასკნელ ხანს გამოვლენილი აგრესია ძირითადად მიმართულია ეთნიკურად ქართველი მუსლიმების მიმართ.

არ უნდა გავიგოთ, თითქოს სხვებს პრობლემები ამ თვალსაზრისით არ აქვთ, თუმცა შედარებით — ნაკლები. პანკისის ხეობაში უფრო ვხვდებით შიდა ისლამურ დაპირისპირებას სუნიტებსა, რომლებიც საკუთარ თავს სუფიტებად მოიხსენიებენ და სალაფიტებს შორის. თუმცა, ამ ეტაპზე კონფლიქტი, როგორც წესი, არ ცდება თეოლოგიურ დისპუტს, იმის გათვალისწინებით, რომ დიდია ასაკობრივი სხვაობა ამ ორ ჯგუფს შორის, მარნეულში, გარდა ზოგადი შეუწყნარებელი აღქმისა მათ დღემდე უწოდებენ თათრებს, რაც ნეგატიურ დატვირთვას ატარებს და ამის გარდა, ტერმინი ზუსტი არ არის, აზერბაიჯანელებთან მიმართებაში ის არასოდეს გამოიყენებოდა. პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი ხარისხი.

**— როგორ მდგომარეობაში არიან ავარელები, რომლებიც ასევე მუსლიმები არიან და რა ვითარებაა მაჰმადიან მესხებში? აქვე თუ შეიძლება, იმაზე ვისაუბროთ, რამდენი მაჰმადიანი მესხი დაბრუნდა საქართველოში, რამდენი ელოდება ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებას და დაბრუნებულები როგორ შეეგუენ ჩვენს ვითარებას?**

— ავარელთა მდგომარეობა დიდად არ განსხვავდება სხვა მუსლიმთა ყოფისაგან. აზერბაიჯანელთა მსგავსად აქაც დგას სახელმწიფო ენის ცოდნის პრობლემა. აქაც გავხდით მოწმენი გარკვეული დაძაბულობისა მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის საკულტო ნაგებობათა აშენებასთან დაკავშირებით. ავარელთა დიდმა ნაწილმა, სხვების მსგავსად, დატოვა საქართველო ჯერ კიდევ 90-იან წლებში სამუშაოს შოვნის მიზნით და ა.შ.

რაც შეეხება მაჰმადიან მესხებს, ამ ეტაპზე სამშობლოში დაბრუნდა რამდენიმე ასეული ოჯახი, მათი დიდი ნაწილი 80-იან წლებში ჩამოვიდა. დღევანდელ დღეს, რეპატრიაციის შესახებ კანონის მიღებიდან მოყოლებული ვიდრე 2010 წლამდე (ეს იყო ვადა, როდესაც განაცხადების მიღება დასრულდა), სამშობლოში დაბრუნების სურვილი გამოხატა ხუთი ათასზე მეტმა ადამიანმა. მათგან მხოლოდ 70 მიიღო რეპატრიანტის სტატუსი.

თავის მხრივ, სტატუსის მინიჭება ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ისინი დაბრუნდებიან. კანონში არ არის გაწერილი კომპენსაციის და რიგი სხვა საკითხები. შესაბამისად, ამ მიმართულებით პრობლემები ჯერ კიდევ რჩება. პრობლემებია ადაპტირებასთან დაკავშირებითაც, განსაკუთრებით იმ ადამიანებისათვის, რომლებმაც გადაწყვიტეს ისტორიული განსახლების ადგილას დაბრუნება, ანუ მესხეთში. მესხების დიდი ნაწილი, რომელიც 80-იან წლებში დაბრუნდა, გურიასა და იმერეთში ცხოვრობს. მათ მიმართ არის ნეგატიური დამოკიდებულება და თავადაც უჭირთ გარემოსთან სრულად შეგუება.

**— აქტუალური თემაა მუსლიმთა რელიგიური განათლების საკითხი. ხშირად გაიგონებთ მტკიცებას, რომ მუსლიმები უმაღლესი განათლების მისაღებად ე.წ. ისლამურ ქვეყნებში მიდიან და იქ განათლებამიღებული სასულიერო პირები ქვეყნისათვის საფრთხეს წარმოადგენენ. მეტიც, საქართველოში მოქმედი მედრესეები სხვადასხვა ქვეყნიდან ფინანსდება, რაც ასევე ქვეყანას საფრთხეს უქმნის. რამდენად მართებულია ამგვარი მტკიცებები?**

— გეთანხმებით, ეს საკმაოდ აქტუალური საკითხია, რაც ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამაც აჩვენა. მუსლიმები მართლაც მიემგზავრებიან ქვეყნიდან უმაღლესი რელიგიური განათლების მისაღებად და, როგორც წესი, უკლებლივ ყველა ბრუნდება და იწყებს აქტიურ რელიგიურ მოღვაწეობას. ასევე ხშირია ქვეყნის გარედან შემოწირულობები საქართველოში არსებული მედრესეების საარსებოდ. მეტიც, მათი რელიგიური ლიტერატურაც, როგორც წესი, შემოდის მეზობელი ქვეყნებიდან. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ეტაპზე მათ უწევთ ქვეყნის გარეთ სასწავლებლად გამგზავრება და ასევე ფინანსური სახსრების მოძიება, რადგან ქვეყნის შიგნით ამის რესურსი არ არსებობს. არ მინდა იფიქროთ, თითქოს მათ ამის სურვილი არ აქვთ. თუმცა, ვიდრე ჩვენ ვერ მოვახერხებთ, ისინი ამ აუცილებელი კომპონენტით ვუზრუნველყოთ, მანამდე უმჯობესია, ვისაუბროთ იმაზე, რომ საქართველოს მოქალაქე მუსლიმები იძულებულნი არიან, ქვეყნის გარეთ დაიკმაყოფილონ საკუთარი ინტელექტუალური სწრაფვა რელიგიის მიმართ.

რაც შეეხება საფრთხეებს, უნდა ვაღიაროთ, რომ ხშირად ეს საფრთხეები გაზვიადებულია. თუმცა, რა თქმა უნდა, ხსენებული მოვლენა შეიცავს გარკვეულ რისკებს. როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, ისლამის სრული დეპოლიტიზაცია შეუძლებელია მისი დოქტრინარულ დონეზე პოლიტიკური ხასიათიდან გამომდინარე. შესაბამისად, ჩვენი მოქალაქე მუსლიმები ძალაუნებურად ექცევიან იმ პოლიტიკური კონიუნქტურის ზეგავლენის ქვეშ, რომელიც არის მათი განათლების პერიოდში მასპინძელ ქვეყანაში. მეორე მხრივ, საქართველოში არ არსებობს ინსტიტუციური შესაძლებლობა, რომელიც ხელს შეუწყობდა დაბრუნების შემდგომ მათ ხელახალ ადაპტაციას არსებულ პოლიტიკურ და კულტურულ გარემოსთან და, რაც მთავარია, მოახდენდა მათი საქმიანობის დეპოლიტიზაციას, ამგვარის არსებობის შემთხვევაში, ჩვენი სახელმწიფოს სეკულარული ხასიათიდან გამომდინარე.

**— რას წარმოადგენს დღეს სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო?**

— ეს არის მუსლიმთა კრებსითი ორგანო, რომელიც მიზანმიმართულია მუსლიმთა ინტერესების დაცვაზე. ყოველ შემთხვევაში, ასეთია მისი დეკლარაცია. თუმცა, მისი ჩამოყალიბება არ განხორციელებულა უმტკივნეულოდ. მოგეხსენებათ, საქართველოს მუსლიმები 2011 წლამდე ფორმალურად იყვნენ ბაქოში არსებული კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს დაქვემდებარებაში. 2011 წელს, მაშინდელი ხელისუფლების მხარდაჭერით, შეიქმნა ხსენებული სამმართველო უკვე საქართველოში, რომელიც დამოუკიდებელი ორგანოს სახით ჩამოყალიბდა. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ხელისუფლების მხარდაჭერა ამ შემთხვევაში პოლიტიკური ინტერესებით იყო მოტივირებული. ამის გარდა, არ იყო გათვალისწინებული კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს ინტერესები, რამაც დაძაბა ურთიერთობა ამ ორ ორგანოს შორის და გარკვეულ დონეზე სახელმწიფოსთვისაც შექმნა ზოგიერთი უხერხულობა. კავკასიის სამმართველომ დატოვა და გარკვეული ფინანსური დახმარებაც აღმოუჩინა საკუთარ წარმომადგენლობას.

ამის გარდა, პოლიტიკური ინტერესების გამო სახელმწიფომ არ გაითვალისწინა უკვე ქვეყნის შიგნით შიიტური თემის დამოკიდებულებები და შიიტთა შეიხად ისეთი პირის დანიშვნას შეუწყო ხელი, რომელიც მიუღებელი აღმოჩნდა ამ თემის გარკვეული ნაწილისათვის, რომელმაც საკუთარი თვითმმართველი ორგანო ჩამოაყალიბა. საბოლოოდ შიიტური თემის შიგნით მივიღეთ სამი დამოუკიდებელი ორგანო, რაც ბუნებრივია ნეგატიურად შეიძლება აისახოს მოვლენათა განვითარებაზე.

სუნიტური მიმართულებით საქმე შედარებით მშვიდად განვითარდა და ორგანო ამ მხრივ საკმაოდ ქმედითიც აღმოჩნდა. სამწუხაროა, რომ სამმართველოში საკუთარი წარმომადგენელი არ ყავთ პანკისელ მუსლიმებს, არც სუნიტებს და არც სალაფიტებს.

**— რა ურთიერთობები აქვს საქართველოს მუსლიმებს ისლამურ სამყაროსთან?**

— როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს მოქალაქე მუსლიმები განათლების მისაღებად მიემგზავრებიან ქვეყნის გარეთ, ძირითადად იმ ქვეყნებში სადაც დიდია ისლამური კომპონენტი. ამ შემთხვევაში საუბარია, როგორც საერო, ისე სასულიერო განათლებაზე. ასევე მჭიდრო ურთიერთობა აქვს მეზობელი ქვეყნების ისლამურ ჯგუფებს ჩვენი ქვეყნის მულიმებთან.

ამის გარდა, უკანასკნელ ხანს აქტიურად განიხილება ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა მონაწილეობა სირიის კონფლიქტში, რაც არ შეიძლება ყურადღების მიღმა დაგვრჩეს. საუბარია დაახლოებით რამდენიმე ათეულ ადამიანზე, რომლებიც, როგორც ჩვენთვის ცნობილია, არიან პანკისის ხეობის მკვიდრნი და სალაფიტური აღმსარებლობის წარმომადგენელნი.

ერთი მხრივ არ უნდა მოვახდინოთ ამ პრობლემის გაზვიადება. რამდენიმე ათეული, თუნდაც დაბრუნების შემთხვევაში, ვერ იქონიებს განსაკუთრებულ გავლენას ჩვენი ქვეყნის შიგნით არსებულ მოვლენებზე. თუმცა, მეორე მხრივ, რისკები, რომლებიც ახლავს თან ამ პროცესს, აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული. მაგალითისათვის, ეს საკითხი კარგად შეიძლება გამოიყენოს რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ გარკვეული განცხადებების გასაკეთებლად. მეტიც, ეს შესაძლოა გახდეს მისი მხრიდან გარკვეული ქმედებების საბაბიც. ამის გარდა, ბუნებრივია პრობლემური იქნება სირიაში ნაბრძოლი ადამიანების რეაბილიტაცია და ადაპტაცია, სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში. გარკვეული პრობლემები შეიძლება გააჩინოს მათი აქტიურობის სამართლებრივმა განხილვამ.

მოგეხსენებათ, ისინი სირიაში არალეგალურად იმყოფებიან და მათი ქმედებები, რბილად რომ ვთქვათ, არ გამოირჩევა ჰუმანურობით. შესაბამისად შესაძლოა, დღის წესრიგში დადგეს მათი სამართლებრივი პასუხისგებების საკითხი. ამდენად, რა თქმა უნდა, ეს საკითხი შექმნის გარკვეულ სირთულეებს სახელმწიფოსათვის, თუმცა, გონიერი და გათვლილი პოლიტიკის წარმოებით შესაძლებელია ამ და სხვა სირთულეების თავიდან აცილება.

**— მუსლიმურ თემაზე საუბრისას ყველაზე ხშირად ისმის კითხვა - უქმნის თუ არა იმ სახით არსებული ისლამი, როგორადაც ის დღეს ჩვენშია, საქართველოს სახელმწიფოებრივეროვნულ საფრთხეს?**

— ნებისმიერი საკითხი, რომელიც არ განიხილება და ინერციულად ვითარდება, საბოლოო ჯამში სირთულეს წარმოადგენს. ჩვენ უნდა განვსაზღვროთ, რა არის ძირითადი პრობლემა და რა გამოვლენებებით ხასიათდება ის. ჩვენი აზრით, უმთავრეს სირთულეს წარმოადგენს ჩვენი მუსლიმი მოქალაქეების ერთიან სამოქალაქო და სოცილური-პოლიტიკურ სივრცეში ინტეგრირებულობის დაბალი ხარისხი. ამას განაპირობებს ერთი მხრივ, მათდამი ნეგატიური დამოკიდებულება, ხოლო მეორე მხრივ, მათი დაბალი აქტიურობა. არ უნდა დაგვავიწყდეს ასევე, რომ თანამედროვე ფორმის სახელმწიფოს ჩამოყალიბება (სამოქალაქო ინტეგრაცია, როგორც ამოცანა მხოლოდ დემოკრატიული სახელმწიფოს წინაშე შეიძლება არსებობდეს) საქართველოში სულ რაღაც ოციოდე წლის წინათ დაიწყო და დამოუკიდებელი არსებობის ეს ორი ათწლეული საკმაოდ რთული პროცესებით ხასიათდებოდა.

შესაბამისად, სახელმწიფომაც ვერ მოახერხა სწორი მაინტეგრირებელი პოლიტიკის წარმართვა. შედეგად მივიღეთ ის, რაც გვაქვს. თუმცა, საბოლოო ჯამში, მე ვერ დავარქმევდი ჩვენს სახელმწიფოში არსებულ ისლამურ კომპონენტს ეგზისტენციურ პრობლემას, რადგან თავისთავად ამ კომპონენტის არსებობა არ ნიშნავს პრობლემას. მეტიც, ჩვენ გვაქვს მრავალწლიანი თანაცხოვრების მრავალფეროვანი გამოცდილება, რაც ჩვენს სიმდიდრედ შეგვიძლია ვაქციოთ.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, აუცილებელია, სახელმწიფომ მოახერხოს სწორი, სამოქალაქო ინტეგრაციაზე და სამოქალაქო ერის ფორმირებაზე ორიენტირებული პოლიტიკის ჩამოყალიბება და მისი განხორციელება. უნდა მოვახერხოთ და ჩვენს მოქალაქეებში, მათ შორის არამუსლიმებში, გავზარდოთ სამოქალაქო პასუხისმგებლობა, რაც თავიდან აგვაცილებს იმ სირთულეებს, რაზეც ბევრი შეიძლება ვისაუბროთ და რითაც ზოგადად ხასიათდება საქართველოს სახელმწიფოებრივი ფორმირების პროცესი.

ისლამთან დაკავშირებული საკითხები არც მთავარი და მით უმეტეს არც ერთადერთი პრობლემაა, რომელიც დღევანდელ დღეს ჩვენი სახელმწიფოს წინაშე დგას, როგორც გამოწვევა.

**კობა ბენდელიანი**



**„საქსტატის“ მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის მონაცემებით, რომელიც 2002 წელს ჩატარდა, საქართველოში მოქალაქეთა დაახლოებით 10% ისლამის აღმსარებელია. მათი შემადგენლობა, როგორც აღნიშნეთ, საკმაოდ მრავალფეროვანია, როგორც ეთნიკური თვალსაზრისით, ისე შიდა ისლამური დენომინაციებისადმი მიკუთვნებულობით.**

◉ საბოტაჟის თანხლებით?

# ბიუჯეტის შევსების მცდელობა

(მეოთხე გვერდიდან)

ჩვენი ინტერვიუერის კოლეგები ვაგზლის ტერიტორიის მიმდებარე ბაზრობიდან აცხადებენ, რომ **საშემოსავლოს ხალხი და ფინანსური პოლიცია ყოველ ნაბიჯზეა ჩასაფრებული. ზოგჯერ ხდება ისე, რომ მილეთი ხალხი ირევა, ცდილობ, კლიენტი არ დაკარგო, ამავე დროს, თვალი უნდა გეჭიროს, ვინმემ რამე არ აგაცალოს. ამ სიტუაციაში, სიჩქარეში, დაძაბულობაში ზედნადებზე ფიქრს ველარც ასწრებ. არადა, ბევრი სხვადასხვა საქონელი შემოგვაქვს ცალობით, როგორ აუხვალ თითოეულზე ზედნადების გამოწერას. ამით სარგებლობენ მაკონტროლებლები და იმ წუთასვე ჯარიმას გიწერენ. თუ ხელისუფლება დროულად არ ჩაერია საქმეში, ჩვენი საქმე რამდენიმეგზის დაჯარიმების გამო გაკოტრებამდე მივა,** — აცხადებს უკმაყოფილო მოვაჭრეები.

ვაგზლის მიმდებარე ბაზრობების მსგავსი მდგომარეობაა ლილოს ბაზრობაზე, იქაურ მოვაჭრეებსაც ანალოგიური პრობლემები ექმნებათ.

მცირე მაღაზიების მფლობელებსაც აქვთ **ხ**შირ შემოწმებებთან, მაღალ ჯარიმებთან დაკავშირებით პრეტენზიები, რასაც მათი სხვა გასაჭირიც ემატება. ეს არის მომხმარებლის მყიდველუნარიანობის დაცემა, რის გამოც პროდუქციის დიდი ნაწილი ისევ დახლებზე რჩებათ. ჯიხურებისა და მცირე მაღაზიების მეპატრონეები შექმნილ მდგომარეობას ლარის დევალვაციასთან აკავშირებენ. დისტრიბუტორები საქონელს „პოსლეზე“ აღარ გვიტოვებენ, იმხელა ბრუნვა არ გვაქვს, რომ გაყიდვამდე გადავიხადოთ საფასური და შედეგად გვრჩება ძველსაქონლიანი ან ცარიელი დახლები...

## შეუგნებელი თუ მიზანმიმართული საბოტაჟი

დღეს დამოკიდებულება გარე მოვაჭრეებისადმი წვრილი მაღაზიების, განსაკუთრებით ჯიხურების მიმართ, საგრძნობლად შეცვლილია, მათ აღარ დასდევენ პოლიციელები, აღარ უყრიან პროდუქტს ძირს, პირდაპირ ასფალტზე, ჯიხურის მფლობელმა გამყიდველმა იცის, რომ მეორე დღეს თავის მარჩენალ ადგილზე იქნება და არა ისე, როგორც წინა ხელისუფლების დროს, როდესაც ადგილზე მისულთ ობიექტი გადატანილი ხვდებოდათ ამწისა და ლაფეტის მეშვეობით. მხოლოდ გამგეობასა და პოლიციაში მისულები არკვევდნენ სავაჭრო ობიექტის ადგილმდებარეობას, სადაც სოლიდური თანხის (ჯიხურის პირობაზე) პროდუქტიც ინახებოდა — ამბობს კვების მრეწველობისა და ვაჭრობის სპეციალისტი, ეკონომისტი **გიორგი ლაშხია.** მისთვის გასაგებია გახშირებული შემოწმებისა და ჯარიმის მიზეზიც — **ფინანსთა სამინისტრო ცდილობს წინა წლის მათ მიერვე შედგენილ ბიუჯეტში გარღვევების შესაძლებლობისდაგვარად შემცირებას, მაგრამ რამდენით შეიძლება შემცირდეს — 30 მილიონით? ეს ხომ ზღვაში წვეთია არსებულთან შედარებით. სამაგიეროდ, დიდი და მზარდია მოსახლეობის უკმაყოფილება, ამბობს ვაჭრობის სპეციალისტი და იქვე აღნიშნავს, რომ თუ წვრილი მოვაჭრეებისა და ბაზრობებზე დასაქმებულთათვის ხელის შეწყობა, ამ სფეროს განვითარება სურთ, მარწუხები კი არ უნდა მოუჭირონ დიდი წნეხიდან ახალგამოსულებს, ამოსუნთქვის საშუალება უნდა მისცენ. ასეთ შემთხვევაში უფრო მეტი ეკონომიკური ეფექტი იქნება, ვიდრე ჯარიმებით ამოღებული თანხებიდან.**

ეკონომისტი საინტერესო გარემოებაზეც საუბრობს, ფინანსთა სამინისტროს მხოლოდ ზედა ეშელონები გადახალისდნენ ახალი ხელისუფლების პირობებში, დაბალი რგოლი, საქმის შემსრულებელნი კი ხელუხლებელნი დარჩნენ. ისინიც ძველი მეთოდებით აგრძელებენ მუშაობას, რაც მოვაჭრეთა დიდ უკმაყოფილებას იწვევს.

ჩვენთან მოსაუბრე ამბობს, რომ **მოვაჭრეები არ არიან წინააღმდეგნი საგადასახადომ მათი ობიექტები შეამოწმოს, მათ გაცნობიერებული აქვთ კანონის მოთხოვნები და მათი შესრულების გარდაუვალობა, მაგრამ იმ ფაქტებს, რომ ინდმეწარმეებისა და შპს-ების საკონტროლო შემოწმებებს დაჯარიმებებს მოვაჭრეები აღიქვამენ როგორც მათ მიმართ**



**ერთდროულ შეტევას ხელისუფლების მხრიდან (თუმცა არ ასახელებენ მიზეზს — ავტ). ლაშხია კი ვარაუდობს, რომ ეს არის საშემოსავლოს დაბალი რანგის შემსრულებლების მიზანმიმართული ქმედება, რადგანაც მათი უმრავლესობა წინა ხელისუფლებიდანაა შემორჩენილი და ლაშხიას მოსაზრებით, ასრულებენ ყოფილი პატრონების უშუალო დავალებას — გამოიწვიონ საზოგადოების გაღიზიანება ახალი ხელისუფლებისადმი და გააღვივონ უკმაყოფილება მათდამი. ვაჭრობის სპეციალისტი აკონკრეტებს, ეს არის სახელმწიფო სტრუქტურების მიერ განხორციელებული ფარული საბოტაჟიო.**

ავიღოთ თუნდაც ქართული ვალუტის დევალვაციის პროცესი — განაგრძობს ჩვენი რესპონდენტი, — ეროვნულმა ბანკმა თავის დროზე ვერ ან არ დაიჭირა თადარიგი, რათა შეექმნა აშშ დოლარისა თუ ევროს საკმარისი მარაგი, რათა ლარი ასე არ გაქცეოდათ, მაგრამ გადავხედოთ, ვისი კადრია ეროვნული ბანკის თავმჯდომარე? იგი „ნაციონალებისათვის“ მისაღები, სააკაშვილის მიერ პირადად დანიშნული კადრია, გამორიცხულია მისგან საბოტაჟის მცდელობა? — მრავალმნიშვნელოვნად კითხულობს ლაშხია.

იმედია, ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს სიტუაციის დასარეგულირებლად და ამის შემდეგ საფუძვლიანად გაერკვევა მოვლენების წარმოქმნის არსში.

**ზაზა ბილიხოძე**

◉ სამწუხარო რეალობა

**დავით ბაგრატიონისა და ანა ბაგრატიონის ქორწინება დასრულდა — ამის შესახებ ინფორმაცია საქართველოს სამეფო სახლის ოფიციალურ ვებგვერდზე, დავით ბატონიშვილის ხელმოწერით განთავსდა.**

**„დიდი დანანებით, ანა ბაგრატიონთან ჩემს ქორწინებას დასრულებულად ვაცხადებ. მადლობას ვუხდი მას საერთო შვილისთვის, მისი სამეფო უმაღლესობისთვის გიორგი ბაგრატიონ-ბაგრატიონისთვის, რომელიც ნათლობის დღეს — 2013 წლის 3 ნოემბერს ბაგრატიონთა დინასტიის მემკვიდრედ გამოაცხადა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ და რომელიც მისი მამის, ბაბუისა და წინაპრების მსგავსად, მუხრანის პრინცის ტიტულს დაეუფლება.“- აღნიშნულია დავით ბაგრატიონის განცხადებაში.**

## „ხელოვნურად გამოყვანილი მეფე როგორ გაამართლებდა“...

**ინტერნეტში ასეთი კომენტარები გავრცელდა:**

„ვწუხვარ, რომ ერთ დროს მომწონდასავით მონარქიის აღდგენის იდეა. ადამიანის პირად ცხოვრებაზე ძალადობა (ამ წყვილს ვგულისხმობ) ნებისმიერი იდეისათვის —დაუშვებელად მიმაჩნია! ხელოვნურად გამოყვანილი მეფე, ცხადია, არ გაამართლებდა... ნუღარ დაამძიმებთ სიტუაციას და ნუ დაუმახინჯებთ პატარას ცნობიერებას“.



„ნწ, ნწ, ნწ, აბა, აბა, რა წყვილი იყავით, ერთი მეფე და მეორე დედოფალი. ვინც თქვენ ამ ოცნებებში გაგაფრინათ, თქვენი ცოდო ედოთ. მასხარები, ჩემს თვალში ერთი უბადრუკი, ფულზე შეყვარებული მასხარები ხართ“...

„აჰა... ვამბობდი, რომ ბოლო მოვლენები არ მომწონს-მეთქი.. .ამდენი გარაინდება ერთის და მეორის გვარების მიერ... ბავშვს მაინც რას ერჩოდნენ... იმ ანგელოზმა რა დააშავა, პატარაობიდანვე მუდამ განხილვის საგნად რომ აქციეს“...

„პუდელებივით რომ შეაჯვარეს, რა ეგონათ“?

„მაგარი სამარცხვინო ოჯახი ხართ“...

„უწმინდესმა ილია მეორემ თქვა, რომ გიორგი ბაგრატიონი, მისი მამის, ბაბუის და წინაპრების მსგავსად, მუხრანბატონთა უფლისწულის სტატუსის მატარებელი იქნება“, — აცხადებს დავით ბატონიშვილი?

და ეს ყველაფერი ხდება ვიწრო წრეში — მხედველობაში მაქვს გიორგი ბაგრატიონის უფლისწულად გამოცხადება. გატყობთ თქვენს ვიწრო წრეში კარგად გაქვთ გადაწყვეტილი, ოფიციალურად, სახელმწიფო დონეზე საქართველოს მოსახლეობას დაეკისროს თქვენი რჩენა, თუ არა მოსახლეობის ხარჯზე, ვინ — ბიძინა“?

„თქვენი ქორწინება ისედაც დაგეგმეთ იმისათვის, რომ ,,უფლისწული,, გინდოდათ გაგეჩინათ, რატომ აყრით ხალხს თვალებში ნაცარს? გგონიათ არ ვიცით, რას ემსახურებოდა თქვენი ვითომ ოჯახი? ღმერთმა გაზარდოს პატარა ღირსეული ვაჟკაცი. თუმცა, დანგრეული ოჯახი ცუდ ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენს პატარების ფსიქიკაზე, ამაზე არც გიფიქრიათ, მეფობა გინდათ და რა მაგალითს აძლევთ ერს. ქართველისათვის კი ოჯახი პირველი ჯილდოა და საფიცარი სამშობლოსთან ერთად... სადღა იზრდებიან ისეთი მეფეები, როგორიც გვყავდა ოდესღაც? უკვე არსად. ასე რომ, ერთმანეთთან დაპირისპირებასაც არ გირჩევდით... ჩემი აზრით, მხოლოდ გვარიშვილობა არ არის მთავარი, რომ ერის წინამძღოლი ერქვას... სიბრძნე და ერთგულებაა საჭირო“.

„ამათი ვერაფერი გავიგე“...

„რაღა გვიჭირს, ახლა უფლისწული თუ აფიწული გვეყოლება“...

„მეტი საქმე არ მაქვს, ჩემი გადახდილი გადასახადებით შენს შვილს ვუყიდო კარალევსკი მოსასხმი!

დაახვიეთ სამივემ ერთად“!

„ეს მუწუკებილა აკლდა საქართველოს რა“...

„არ გრცხვენიათ“?

„დავით ბაგრატიონი აგრძელებს ამ პოლიტიკურად დეგრადირებული სამეფო საგვარეულოს შემდგომ დეგრადაციას. გამოფხიზლდით ქართველებო, ვისაც ჯერ კიდევ სწამს ბაგრატიონთა ღვთიური წარმოშობის შესახებ“.

„როგორ არ რცხვენია ახლა ამას, ესეც იტყვის, კაცი ვარო. შევარცხვინე თქვენი ბატონიშვილობაც და თქვენ ერთად. მე ის ანგელოზი ბავშვი მეცოდება. ესენი ორივე უნდა გაიყვანო და კარგად უნდა მიტყიპო. ამას ჰქვია სულის გაყიდვა. ჩოხა-ახალუხში რომ ხარ გამოწყობილი და ქართველობაზე დებ თავს, ჯერ კარგად გესწავლა ნამდვილი ქართველი კაცის ბუნება და ამავე დროს კარგად გაცნობოდი, თუ რაში გამოიხატება მისი ვაჟკაცობა. თქვენ ფულზე გაყიდეთ სული და ყველაფერი წმინდა, რაც კი გვქონდა შემორჩენილი. ამის შემდეგ შეიძლება შენნაირს ეწოდოს კაცი ან ქართველი რაინდი? იმდენი შენ რა გითხრა. როგორიც თქვენ ხართ ისეთივე არიან თქვენს მიერ წოდებული რაინდებიც“!

„მართლა დასრულდა უკვე მერამდენედ? რაო, „სამეფო კარმა“, კიდევ გავაგრძელებთ ტაკიმასხარაობასო, ახალ ბატონიშვილის მოძებნას აპირებენ თუ, როგორ არის ჩვენი საქმე, არ დაგვლუპოთ, საჩქაროდ ახალი კანდიდატი მოძებნეთ და ამ ბავშვებს დაანებეთ თავი, არ ეცხოვრებათ ერთად და რას ერჩით“?

„ბავშვი გააკეთს და დაახვევინეს ერთმანეთს“?

„ანნა როდის იწერებოდა ორი „ნ“-თი ქართულად? სულ როზგებით უნდა სცემო ეს ლუარსაბიც და მისი ფულის ქაჯი ანნაც“.

„გულწრფელად მეცოდება ანა ბაგრატიონი, მარაზმის ტყვე იყო, და იმედია, ეს მარაზმი მალე დასრულდება და უფრო სამარცხვინო ფორმას მიიღებს“...

„შესაცოდი რა სჭირს, რასაც უმიზნებდა, ის რომ გამოსვლოდა, დედოფლად მოჯდებოდა და სისხლს ამოსწოვდა საქართველოს გაჭირვებულ მოსახლეობას ისე, რომ მადლობასაც არ ეტყოდა“.

**ნატა ნიბლაძე**

◉ ინფორმაცია

## დაღუპულ და დაჭრილ სამხედროთა ოჯახებს 500-ლარიანი კომპენსაცია მიეცემათ

**2014 წლის 1 იანვრიდან საქართველოს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილება ძალაში შედის.**

**ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ცვლილების თანახმად, სახელმწიფო კომპენსაცია 500 ლარის ოდენობით უნდა დაენიშნოს „საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ„ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საერთაშორისო ოპერაციების ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელებისას გარდაცვლილ ან ამ მისიებში მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო გარდაცვლილ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა ოჯახის წევრებს.**

**კონპენსაცია დაენიშნება ასევე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, აგრეთვე 1998 წლის მაისისა და 2004 წლის 22-24 აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს.**

**ამ კანონით გათვალისწინებული ოჯახის წევრის გარდაცვალების გამო კომპენსაცია პროპორციული განაწილების წესით ენიშნებათ გარდაცვლილის ოჯახის წევრებს — მშობლებს, მეუღლეს, შვილებს 18 წლის ასაკის მიღწევამდე და შრომისუუნარო შვილებს.**

**მოქალაქეებმა, რომლებიც მიეკუთვნებიან ზემოთ აღნიშნული კატეგორიის პირთა წრეს, სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის თაობაზე განცხადებით უნდა მიმართონ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებს.**

**კომპენსაცია ინიშნება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ნებისმიერ ფილიალში განცხადებისა და საჭირო დოკუმენტების წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.**

**ინტერპრესი**

№243. სამშაბათი, 17 დეკემბერი, 2013 წელი.

**სოფელი დილისკა ჯავახეთში, მდინარე ფარავნის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს. ვაკეზე გაშლილი სოფელი გამორჩეულია როგორც ადგილმდებარეობით, ისე სიდიდით. აბულის ულამაზესი მთა თავისი თოვლიანი მწვერვალებით შორიდან, მაგრამ ამაყად დასცქერის ჯავახეთის ამ სოფელს, რომლის თავდაპირველი სახელწოდება „დილისკარი“ იყო. ეს იდუმალი და ლამაზი სახელი მართლაც, რომ მშობლიურად ჟღერს და ჩვენს ისტორიულ წარსულზე ჩაგვაფიქრებს. მართალია, დღეს ეს სოფელი სომეხი ეროვნების ხალხით არის დასახლებული, მაგრამ სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც ეთნიკური უმცირესობისთვის (რა თქმა უნდა, ეთნიკური უმცირესობა არაქართველი მოსახლეობის აღსანიშნავად პირობით ტერმინად გამოიყენება, თორემ ჯავახეთში ვინ არის უმცირესობა, ჩვენი ჟურნალის წინა ნომერშიც აღვნიშნეთ: კერძოდ, ახალქალაქში მოსახლეობის მხოლოდ 5,1 პროცენტი არის ქართველი (რედ.), ხორციელდება, საკმაოდ წარმატებულია.**

**ქართული გარემოს შექმნაში ჩამოსულ მასწავლებლებთან ერთად მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ადგილობრივ მკვიდრს, ეროვნებით სომეხს, ქართული ენის მასწავლებელს, ქალბატონ ანა პაპიკიანს. ქ-ნი ანა 43 წელია, მუხლჩაუხრელად შრომობს და ზრდის მომავალ თაობებს დილისკის №1 საჯარო სკოლაში. მართალია, ის 60 წლისაა, მაგრამ მასთან შეხვედრისთანავე იგრძნობთ, რომ ქალბატონ ანას წლები ვერაფერს აკლებს.**

**გთავაზობთ ინტერვიუს დილისკის №1 საჯარო სკოლის ქართული ენის მასწავლებელ ანა პაპიკიანთან, რომელიც გვაცნობს საკუთარ გამოცდილებას და სწავლების უკვე აპრობირებულ და წარმატებულ მეთოდებს.**

# „ქართული ჩემი მშობლიური ენაა“

## ინტერვიუ ქართული ენის მასწავლებელ ანა პაპიკიანთან



**— ქალბატონო ანა მიამბეთ თქვენს შესახებ, რათა მკითხველს უკეთ გავაცნოთ სოფელ დილისკის ქართული ენის მასწავლებელი.**

— ვარ ეროვნებით სომეხი, დედით ქართველი, დედაჩემის, მარიამ ივანიშვილის დიდი დამსახურებაა ჩემი განსაკუთრებული სიყვარული ქართული ენისადმი, სამწუხაროდ, 1987 წლის 7 სექტემბერს დედა ტრაგიკულად დამეღუპა. იმ დღიდან გადავწყვიტე, რა სიძნელეებიც არ უნდა შემხვედროდა ცხოვრებაში, დედის ენა არასოდეს დამევიწყებინა. მომავალი თაობებისთვის ქართული ენის სწავლებას მე დედისადმი მომზადებული „საკურთხის“ მნიშვნელობას ვანიჭებ. დღემდე მისი სულის განსვენებისთვის და მისი მუდმივი მოგონებისთვის, ჩემს სომეხ თანასოფლელებს ქართულ ენას უდიდესი ენთუზიაზმით ვასწავლი.

როდესაც მასწავლებლობა გადავწყვიტე, მაშინვე გააზრებული მქონდა, თუ რა პასუხისმგებლობას ვიღებდი როგორც უფლის, ისე მომავალი თაობების წინაშე. ჩემი პედაგოგობის პერიოდში მუდმივად მქონდა განცდა, რომ ბავშვებთან ურთიერთობით ყოველდღე ვიცვლებოდი. ვცდილობდი, ფაქიზად შევხებოდი მათ გულებს და შემეყვარებინა კითხვა, წერა, თავისუფალი აზროვნება, რადგან სწორედ თავისუფალ აზროვნებაში აღმოაჩენს და იპოვის ბავშვი სამყაროს, შეეხება ცხოვრებას და იგრძნობს რა არის განათლება, ვინ ვართ ჩვენ და რა დანიშნულება გვაქვს ამ წუთისოფელში.

მახარებს ის ფაქტი, რომ ჩემი მოსწავლეებისგან მუდმივად ვგრძნობ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას, ამის დასტურია თუნდაც ის, რომ სკოლის დასრულების შემდგომ მიტოვებენ ძალიან ემოციურ, გრძნობებით სავსე წერილებს. მე ამ წერილებს ვუფრთხილდები, ვუფრთხილდები მათ გულებს და მიხარია, ქართულად ასე კარგად რომ წერენ და აზროვნებენ.

**— ქალბატონო ანა, გაგვიზიარეთ თქვენი პედაგოგიური გამოცდილება, რას ნიშნავს იყო კარგი მასწავლებელი.**

— ბავშვი, ეს არის სიცოცხლე, სიწმინდე: მისი თვალები ყოველთვის მეტყველებს. იგი მასწავლებელთან კონტაქტს მუდმივად თვალებით ამყარებს. პირადად მე, ბავშვებთან ურთიერთობისას, ერთი შეხედვით ვგრძნობ მათ განცდებს, სურვილებს; ვხედავ, როგორ მიიღეს ახსნილი მასალა, რა გაიგეს და კიდევ რას ითხოვენ. მე მრავალი თაობა აღვზარდე და ყოველთვის ჩემს საქმიანობას მათი თვალები ხელმძღვანელობდნენ. ასევე, როდესაც შედიხარ კლასში, სადაც არ ესმით ის ენა, რომელიც უნდა ასწავლო, საჭიროა უფრო შემოქმედებითი იყო. მაგალითად, მე ყოველთვის ვცდილობ, ბავშვებს ახალი სიტყვის შინაარსი კონტექსტიდან გამომდინარე გავაგებინო. და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ავუხსნა სომხურად, თუმცა, უკვე მიჩვეულები არიან, რომ ქართულის გაკვეთილზე მხოლოდ ქართულად უნდა ილაპარაკონ და ეს მცდელობა საკმაოდ წარმატებულია.

მასწავლებლობა, ვფიქრობ, უდიდესი საქმიანობაა, გაცნობიერებული პასუხისმგებლობაა. სწორედ ამიტომ, ვიზიარებ ყოველივე ამას და გაკვეთილებსაც დიდი პასუხისმგებლობით ვგეგმავ, რადგან დაგეგმილი გაკვეთილი უფრო წარმატებულია და მორგებულია მოსწავლის საჭიროებებს, მისაღწევი შედეგები გამოკვეთილია, მიზნები დასახულია და ვცდილობ, ორიენტირებული ვიყო შედეგზე.

ქართულის სწავლება ურთულესია, ჩემი მიზანია, მათ ქართულ ენასთან ერთად ვასწავლო მისი მნიშვნელობა, რადგან ბავშვები მხოლოდ ამის შემდგომ იწყებენ გააზრებას, რატომ უნდა ისწავლონ და კარგი განათლების მიღების შემთხვევაში რა უპირატესობები ექნებათ.

ჩემს გაკვეთილებზე ასევე ვცდილობ, ბავშვებს ავუხსნა და გავააზრებინო — რა არის ენა, კომუნიკაცია, ღრმად ჩავახედო ენის საკითხებში და შემდგომ შევუდგე გაკვეთილის ახსნას, ამ დროს ვგრძნობ, უფრო ინტერესით მისმენენ. სიტყვათა მარაგის დაგროვებისთვის ასევე მნიშვნელოვანია ქართული ლექსიკის შესწავლა. ამიტომ კვირაში ერთხელ გვაქვს ლექსიკონის დღე და ამ დღეს მარტო ლექსიკაზე ვმუშაობთ.



ქუმურდოს ტაძარი. ახალქალაქი

ბედნიერი ვარ, რომ მაქვს საშუალება, ვუყურო ჩემს ბავშვებს, როგორ იზრდებიან და ვითარდებიან.

**— თქვენი აზრით, რა მეთოდები არსებობს იმისათვის, რომ სწავლების ეფექტური შედეგი გვქონდეს?**

— მოგეხსენებათ, სწავლების უამრავი მეთოდი არსებობს, მაგრამ, ჩემი აზრით, ეფექტური სწვალების მეთოდი თავად მასწავლებელმა უნდა მოიძიოს, აღმოაჩინოს — თუ რას ითხოვენ ბავშვები, ცოდნის რა დონეზე იმყოფებიან და რამდენს დაიტევს მათი გონება. ბავშვებს უნდა მიეცეთ ფიქრის, საკუთარ თავზე მუშაობის დრო.

მაგალითად, გეტყვით, რომ ჩემი საგაკვეთილო პროცესიდან თუ რას მივიჩნევ ეფექტურ სწავლებად. როდესაც მოსწავლეებს ვუხსნი ახალ მასალას, უამრავი ახალი სიტყვა გვხვდება, რომელიც უნდა განვუმარტო. ამისთვის კი ვიყენებ რაიმე ამბავს, სურათს, ნახატს და ა. შ. ვიყენებ სხვადასხვა ხერხს, რომ ბავშვები მივიყვანო სიტყვის ზუსტი მნიშვნელობის გაგებამდე, ანუ მე კი არ ვუთარგმნო, ან ლექსიკონით კი არ ვათარგმნინო, არამედ კონტექსტიდან გამომდინარე თვითონ ამოიცნონ ახალი სიტყვის შინაარსი. ამასობაში კი საუბარს ეჩვევიან, ფიქრს სწავლობენ და სიტყვებს უკეთ აკავშირებენ ერთმანეთთან.

თავად ბავშვები მეხმარებიან უკეთ დავგეგმო გაკვეთილი და სასურველ შედეგსაც მივაღწიო. ყველაფრის საწყისი ბავშვი და მისი გარემოა, ანუ ჩვენზე, პედაგოგზეა დამოკიდებული, რამდენად ხელსაყრელ გარემოს ვუქმნით მათ სწავლებისათის, რამდენად ვცდილობთ ბავშვების ჩართვას საგაკვეთილო პროცესში და რამდენად ვაძლევთ შანსს ბავშვს, რომ დაფიქრდეს და მისი აზრი მნიშვნელოვანი და მისაღები გახდეს.

**— ქალბატონო ანა, თქვენ ძალიან კარგად წერთ, მქონდა საშუალება წამეკითხა თქვენი მოთხრობები, ჩანახატები, სადაც უდიდეს სიყვარულს გამოხატავთ ქართული ენისადმი, მწერლობისადმი...**

— ბავშვობიდან მიყვარდა დღიურების წერა. ვწერდი ჩანახატებს და ამით გადმოვცემდი ჩემს სათქმელს. ახლაც ვწერ მოთხრობებს, ესეებს და ხანდახან ვუკითხავ ჩემს ბავშვებს. ვგრძნობ, რომ ხშირად მოსწონთ ჩემი ნაწერები და ეს ჩემს გულსაც უხარია. მე ყოველთვის ხმამაღლა ვამბობდი, რომ ქართული ჩემი მშობლიური ენაა, მისი განსაკუთრებული სიყვარულიც, ალბათ, ქართული ენის, დამწერლობის დამსახურებაა. ქართული ასო-ნიშნების მოხდენილობა მუდმივად დიდ გავლენას ახდენდა ჩემზე, ქართულად წერის დროს ვგრძნობ, ჩემი სული მშვიდდება და ამით უფრო ვუახლოვდები ქართული ენის სიდიადეს.

**— გვიამბეთ თქვენს სოფელზე, ჯავახეთი ცივი ადგილია, დილისკაში გვიან მოდის გაზაფხული; სოფელში ქართულად თითქმის არავინ საუბრობს...**

— სამწუხაროა ის ფაქტი, რომ სოფელში მხოლოდ ერთი ქართველი ცხოვრობს. მასთან კარგი დამოკიდებულება გვაქვს და გვინდა, აქ ბევრი ქართველი ცხოვრობდეს, რადგან ეს ყველას დაეხმარებოდა, რომ სახელმწიფო ენა ადვილად ესწავლა და ქართულად ესაუბრა. ხშირად გული მწყდება, როდესაც ჩვენი ბავშვები სკოლაში გამართული ქართულით საუბრობენ, დაოჯახების შემდეგ კი ავიწყდებათ, რადგან ქართველებთან არ აქვთ ურთიერთობა. მახარებს ის ფაქტი, რომ რეგიონში სახელმწიფო პროგრამები ასე წარმატებულად მიმდინარეობს, რომლის ფარგლებში ჩვენთან ჩამოსული მასწავლებლები დიდ სიყვარულს და პატივისცემას იმსახურებენ ადგილობრივებისგან, გვიზიარებენ თანამედროვე მეთოდებს, ვთანამშრომლობთ და ერთობლივად ვიღვწით დასახული მიზნის მისაღწევად. სწორედ ჩვენი ერთობლივი მუშაობის შედეგია, რომ ჩვენს სოფელში მუდმივად ისმის ქართული „გამარჯობა“ და „როგორ ბრძანდებით“. ამის ნათელი დადასტურებაა ახალგაზრდები, რომლებიც სხვადასხვა უნივერსიტეტში ქართული ენის სპეციალობით სწავლას აგრძელებენ და ენის შესწავლის პროცესს პასუხისმგებლობით ეკიდებიან.

ჩვენს სოფელში ძალიან შრომისმოყვარე ხალხი ცხოვრობს, ძირითადად მიწათმოქმედებას მისდევენ. ახლახან, ჩემი ერთი მეთორმეტეკლასელი მოწაფე მეუბნება: მასწავლებელო, როდის დასრულდება ეს მიწაზე მუშაობა, რომ შემდეგ გულიანად მივხედო სწავლასო. მისი სიტყვებიდან ვიგრძენი, რამდენს ფიქრობს ეს ბავშვი სწავლაზეც და სამუშაოზეც.

ამ წელს კიდევ ერთი ახალი თაობა გავაცილეთ, ძალიან ლამაზი „ბოლო ზარი“ გვქონდა, სადაც შესრულდა ქართული ცეკვა და „დაისი“ და ითქვა ქართული ლექსები. მე ბედნიერი ვარ, რომ მაქვს საშუალება ქართული სიტყვა ხმამაღლა ვთქვა ჩემს სოფელში, სკოლაში, ვასწავლო ქართული და მშობლიურივით შევაყვარო ყველას. ამით ქვეყნისა და დედის წინაშე გულმართალი ვიქნები და ვიცი, ღმერთიც დამიფასებს.

ესაუბრა
**ნათია ვარძელაშვილი**

**P. S. მე ამ სოფელში 2013 წლის თებერვლიდან ვმუშაობ პროგრამით „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“. როდესაც პირველად მივედი სკოლაში, ქალბატონი ანა თბილად შემომეგება, გამიღიმა, გულიანად გადამეხვია და მითხრა: კეთილი იყოს შენი მობრძანება, მიხარია, რომ დღეიდან ერთად ვასწავლით ქართულ ენას, დამეხმარები და გამიზიარებ სწავლების ახალ, თანამედროვე მეთოდებსო. გულწრფელად გეტყვით, გამიკვირდა ასეთი გულახდილობა, მაგრამ მალევე დავრწმუნდი, რა დიდი სიამოვნებაა ასეთ გამოცდილ პედაგოგთან თანამშრომლობა, რომელიც საკუთარ ენასავით ასწავლის ქართულს. დღეს კი, მე და ანა მასწავლებელი, სხვა ქართულის მასწავლებლებთან ერთად, ვასწავლით და ვახორციელებთ სხადასხვა ღონისძიებას, ვიღვწით, რომ სახელმწიფო ენა არა მარტო შევასწავლოთ ჩვენს სომეხ მოწაფეებს, არამედ შევაყვაროთ და გავაცნოთ დიდებული ქართული კულტურა, რათა თავი იგრძნონ ჩვენი ქვეყნის სრულფასოვან მოქალაქეებად.**

**ამიტომ შევეცადე, სამაგალითო პედაგოგის გამოცდილება თქვენთვისაც გამეზიარებინა და თანაც გამეცნო ჯავახეთის ერთ-ერთი სოფლის მასწავლებელი, რომელიც ყოველდღიურად ზრუნავს პროფესიულ წინსვლაზე.**

**ქალბატონ ანას ვუსურვებ, კვლავ დიდხანს გაეგრძელებინოს თავისი პედაგოგიური საქმიანობა, ქართული ენის სწავლება, ახალქალაქის რაიონის ერთ-ერთ ლამაზ სოფელ დილისკაში.**

**„სამი საუნჯე“ №3.**

# არჩევანის წინაშე მყოფი უკრაინა

**რახანია მსოფლიოს ელექტრონული საინფორმაციო საშუალებები ნომერ პირველ ახალ ამბად ტაილანდსა და უკრაინაში მიმდინარე საპროტესტო აქციებს გვთავაზობენ. ორივეგან დაძაბულობა ხან კულმინაციას აღწევს, ხან წყნარდება ხელისუფალთა დასამშვიდებლად.**

**ტაილანდის ანტისახელისუფლებო გამოსვლები მომიტინგეთა სრული წარმატებით დასრულდა — დასახელდა ვადამდელი არჩევნების ჩატარების თარიღი.**

უკრაინაში კი, მიტინგები გრძელდება, ტაილანდთან შედარებით, მომიტინგეთათვის ერთობ არაკომფორტულ ვითარებაში — ყინვასა და თოვლში. თუმცა, მომიტინგეები ფეხს არ იცვლიან კიევის ცენტრიდან და არათუ იცვლიან, პოლიციის მიერ დაშლილ ბარიკადებს მეორე დღესვე, დიდი გულმოდგინებით აღმართავენ.

თუ ტაილანდის ხელისუფლების მიმართ დასავლეთს არაფერი უთქვამს ჭკუის დარიგების მსგავსი ან მკაცრი გაფრთხილების, უკრაინასთან მიმართებაში ამას ვერ ვიტყვით. აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის ჯო ბაიდენის ორი სატელეფონო საუბარი უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩთან, რად ღირს. ან სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება - სტრატეგიული თანამშრომლობის ჩარჩოებში არ ჯდება მიტინგების ძალისმიერი დაშლაო.

დასავლეთმა იანუკოვიჩს მომიტინგეებისკენ გახედვაც კი აუკრძალა. მას ერთი გზა დაუტოვა - ბრიუსელისკენ. როდესაც აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ვიქტორია ნულანდი, უკრაინაში აშშ-ის ელჩთან ერთად „პონჩიკებს“ ურიგებს მეამბოხეებს, როდესაც ევროკავშირელი ქეთრინ ეშტონი უკრაინის სამართალდამცველთა მიერ სტუდენტების წინააღმდეგ ძალის გამოყენებას კატასტროფად მიიჩნევს — ყველაფერი ნათელია. დასავლეთს სურს, ასოცირებით უკრაინის რუსეთისგან ჩამოშორება. თუ უკრაინა არ გააკეთებს, ამას, მიიღებს რევოლუციას.

ნეტავ სად იყო „დემოკრატიული“ დასავლეთი მაშინ, სააკაშვილი რომ უმოწყალოდ უსწორდებოდა მომიტინგეებს?!

უკრაინის ხელისუფლება ორ ცეცხლსშუაა — საკუთარი მოსახლეობის სავარაუდო სოციალური ბუნტისა და ბრიუსელის. მოსკოვი აქ არაფერ შუაშია. ცხადია, ის ისურვებდა, რომ შუაში კი არა თავში ყოფილიყო, მაგრამ „თავში“ ყოფნისთვის მას თავის დროზე უნდა ეფიქრა. მისდა სამწუხაროდ, მან ეს ვერ ან არ გააკეთა — სხვა საქმეებით იყო გართული - დაიმედებული იმით, რომ უკრაინა არსად წავიდოდა.

ასოცირებული წევრობა ნიშნავს უკრაინის რუსეთის ორბიტიდან ჩამოშორებას. სწორედ ამიტომ ირჯება დასავლეთი. ვერ გააფართოვა მან ნატო აღმოსავლეთით, მაგრამ 2009 წელს დაიწყო ეკონომიკური ექსპანსია. პროექტს „აღმოსავლეთის პარტნიორობა“ დაარქვა და მიმართა უკრაინის, ბელორუსის, მოლდოვის, კავკასიის ქვეყნებისკენ.

იქიდან მოყოლებული, დასავლეთს მცდელობა არ შეუნელებია აღნიშნული ქვეყნების გადაბირებისთვის. ჩატარდა 2 სამიტი, თუმცა, ნაკლები აჟიოტაჟით და წარმატებით, მაგრამ მას შემდეგ, რაც ლიტვა გახდა ევროკავშირის დროებითი თავმჯდომარე, ამ ქვეყნის ხელისუფლებამ გადაწყვიტა ვილნიუსის სამიტის წარმატებით დასრულება, ანუ უკრაინის ჩათრევა.

მანამდე კი იყო ბრიუსელ-კიევის აქტიური და შეხმატკბილებული თანამშრომლობა, პარაფირებული ტექსტის შეჯერება, ანუ უკრაინის კანონმდებლობის ევროპულთან ჰარმონიზება. ერთადერთი საკითხი, მძიმედ გადასაწყვეტი, ყოფილი პრემიერის ტიმოშენკოს პატიმრობიდან განთავისუფლება იყო.

როგორც ჩანს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაწეული შრომის „ნაყოფი“ დროულად არ მიეწოდა უკრაინის ხელმძღვანელობას, რომელმაც ვილნიუსამდე, ერთი კვირით ადრე, უარი განაცხადა ხელმოწერაზე. უკრაინის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლაი აზაროვმა ასე განმარტა: **„უკრაინის ბაზარზე ერთმანეთის კონკურენტებად 2 საწარმოა — ევროპული და უკრაინული, ვინ იყიდის უკრაინული საწარმოს მიერ დამზადებულ პროდუქციას? სწორედ ამიტომ საჭიროა ხელმოწერის გადადება - მანამ, ვიდრე უკრაინაში არ შეიქმნება მაღალტექნოლოგიური საწარმოები, რომელთა პროდუქცია გაუძლებს ევროპულის კონკურენციას. ამისათვის 10 წელი იქნება საჭირო“.**

მან ისიც აღნიშნა, რომ ევროპასთან ასოცირება უკრაინას ძვირი დაუჯდება - 100-160 მილიარდი ევრო, თითქმის იმდენი, რამდენიც უკრაინის საერთო ეროვნული პროდუქტია - 176 მილიარდი დოლარი. საიდან მოიტანს ამ თანხას უკრაინა?

**თვით უკრაინის ეკონომიკა შარშანდლიდან რეცესიაშია. მიმდინარე წელს ერთიანი ეროვნული პროდუქტი 1.5%-ით შემცირდა. 2014 წლისთვის უარესი პროგნოზია. შიდა მოთხოვნა მცირდება, ხოლო ექსპორტიდან მიღებულ შემოსავალზე ლაპარაკიც ზედმეტია. უკრაინის მთავარი საექსპორტო საქონელი ფოლადია, რომლის ბაზარი მთელს მსოფლიოში ცუდ მდგომარეობაშია. მთავრობას ისღა დარჩენია, დეფიციტის დასაფარავად ახალი ვალი აიღოს. უკრაინის სახელმწიფო ვალი ერთიანი ეროვნული პროდუქტის 78 პროცენტია.**

**ასოცირებული წევრობა უკრაინას საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან აძლევს თითქმის 6 მილიარდი დოლარის კრედიტს, რომელიც უკრაინამ მომავალ წელს უნდა დაფაროს, რაზეც უკრაინა არ დათანხმდა. სავალუტო ფონდის რეკომენდაციით, უკრაინას 40%-ით უნდა გაეზარდა კომუნალური მომსახურების ტარიფები.**

**უკრაინის მიერ ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა შეაჩერებს სამეცნიერო-ტექნიკურ ურთიერთკავშირს ავიამშენებლობის, სარაკეტო-კოსმოსურ, გემთმშენებლობის დარგებთან. მაღალტექნოლოგიური და თავდაცვის სფეროთა კოოპერაციის შეწყვეტა თავისთავად გამოიწვევს უკრაინის ექსპორტის 2 მილიარდი დოლარით შემცირებას. ეს დარგები მჭიდროდაა დაკავშირებული რუსეთის თავდაცვის სფეროსთან.**

**ევროკავშირის ალტერნატივად მოსკოვი კიევს ერთიან საბაჟო კავშირს სთავაზობს. სპეციალისტების აზრით, ამ კავშირში შესვლით უკრაინა, ყოველწლიურად, 10 მილიარდი დოლარით იუმჯობესებს სავაჭრო ბალანსს. მარტო ნავთობსა და გაზზე გადასახადების გაუქმებით, უკრაინა საკუთარი ბიუჯეტიდან დაზოგავს 6-დან 10 მილიარდამდე დოლარს. წლიურად, დაახლოებით 2-3 მილიარდ დოლარს მოუტანს უკრაინას ერთიანი საბაჟო კავშირის ქვეყნებში საკუთარი პროდუქციის შეტანა.**

**და კიდევ ერთი რამ, უკრაინის აქილევსის ქუსლი — გაზით მომარაგება. რუსეთთან თანამშრომლობა უკრაინას მოუტანს ათას კუბ.მეტრი გაზის ფასის 170-180 დოლარამდე შემცირებას, ისეთს, როგორიც აქვთ ბელორუსს და სომხეთს.**

**უკრაინა უსერიოზულესი არჩევანის წინაშეა — დღევანდელი კვერცხი, რომელიც ქათამს სჯობს, თუ — ხვალინდელი ქათამი? ორჭოფობა უკრაინის ხელისუფლების ჩვეული მეთოდია. ზოგი ამას მოსკოვ-ბრიუსელს შორის ვაჭრობად აღიქვამს. შესაძლოა, ეს ასეც იყო, მაგრამ დღეს, სწორედ გაუთვლელი, პრიმიტიული ორმხრივი „თამაშის“ შედეგად უკრაინა გამოუვალ ჩიხში მოიქცა.**

ეკონომიკური გაუსაძლისობა, დასავლეთის მიერ აბუნტებული ოპოზიცია, ასოცირების ხელშეკრულებაზე დაძალებით ხელის მოწერა, ერთი მხრივ, ანუ პროდასავლური კურსის გამარჯვება და, მეორე მხრივ — ჯერაც დუმილში მყოფი აღმოსავლეთ უკრაინა — ხარკოვი, დნეპროპეტროვსკი, ზაპოროჟიე, ოდესა — მძლავრი სამრეწველო პოტენციალით, მოძველებულით, მაგრამ მაინც, რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობით.

თუმცა აღმოსავლეთმა ეს დუმილი დაარღვია და იანუკოვიჩის მხარდასაჭერად შაბათ-კვირას კიევში უზარმაზარი მიტინგი გამართა. მათი მთავარი მოთხოვნა არის - შორს ევროკავშირიდან! მათ კარგად იციან, რომ თუ ასოცირებული წევრობის ხელშეკრულებას მოეწერება ხელი, დაიშლება რუსეთთან ურთიერთთანამშრომლობა. ამას ითხოვს ევროკავშირი. გაწყდება კავშირები და დადუმდება ქარხნები, მძიმე მრეწველობის გიგანტი კომბინატები. უმალ შეიქმნება უმუშევრობა, ასეულ-ათასობით მუშა-მოსამსახურე შეავსებს კიევის ქუჩებს საპროტესტო მიტინგებით, საბოლოო ჯამში ხელისუფლების დამხობის მოთხოვნით.

ზოგიერთი უკრაინელი ექსპერტის მიხედვით, „უკრაინის სახელმწიფოებრიობის მზე ესვენება“ და ეს პროცესი მხოლოდ ხელით მართვის გზით „რეგულირდება“, ვინაიდან სახელმწიფო მართვის სისტემა მოიშალა. საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობისკენ მოწოდება, უკრაინის დასავლეთის ზოგიერთი ქალაქის მერიის და ადგილობრივი მმართველობის ანტისახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღება ნათლად მეტყველებს სისტემის მოშლაზე.

ყველაფერი ეს ხელისუფალთა მიერ გადადგმულ მცდარ ნაბიჯზე მიანიშნებს - მომიტინგეთა წინააღმდეგ გადამეტებული ძალის გამოყენების სახით. ფაქტობრივად, იანუკოვიჩის ვილნიუსში გამგზავრების დროს მიტინგი ჩამცხრალი იყო. მაგრამ. . . გაიცა ბრძანება მიტინგის დასაშლელად. გაილახა სტუდენტობა.

გაილახა და არა დაიხოცა, მაგრამ უკრაინა საქართველო არ არის. მოსახლეობამ ვერ აიტანა ხელისუფლების ძალადობა და გამოვიდა ქუჩაში — არა ასოცირებისთვის, არამედ იანუკოვიჩის ჩამოგდებისთვის. აქ უკვე ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ დაშავებული სამართალდამცავების რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე მომიტინგეების, რომ „ბერკუტის“ ქმედება, პასუხი იყო დასავლეთში ნავარჯიშები, კუნთმაგარი ნაციონალისტური ათასკაციანი არმიის შეტევაზე. ოპოზიციამ და დასავლეთმა მათთვის ჩვეული ოსტატობით აიტაცეს ეს ფაქტი და ატრიალეს მედიაში.

ჩვეულებრივ მომიტინგეებს, რომლებსაც ნაკლებად აღელვებთ პოლიტიკა, აღელვებთ გაუარესებული საკუთარი მდგომარეობა. აღელვებთ, ის, რომ უკრაინის საგარეო ვალი 70 მილიარდი დოლარია და ის, რომ ქვეყნის ეკონომიკა კისრისტეხით მიექანება დეფოლტისკენ.

ამბუნტებლად უკრაინელები სერგეი ლევოჩკინს თვლიან — პრეზიდენტის ადმინისტრაციის უკვე ყოფილ უფროსს. ის იანუკოვიჩის ვილნიუსში ყოფნის დროს გადადგა პროტესტის ნიშნად. მილიარდერ ფირტაშის გუნდის წევრმა, აშშ-თან და ევროკავშირთან მთავარმა მომლაპარაკებელმა, უკრაინელი ნაციონალისტების ერთ-ერთმა მთავარმა მოთავემ ვერ აიტანა იანუკოვიჩის უარი ხელმოწერაზე.

ვერ აიტანა არა იმიტომ, რომ პრეზიდენტის დასავლურმა კურსმა არ გაამართლა, არამედ იმიტომ, რომ მას არაფერი დარჩა სათქმელი დასავლელი დამრიგებლებისთვის - რამ გამოიწვია იანუკოვიჩის უარი. ლევოჩკინი ხომ დასავლეთს უმტკიცებდა საწინააღმდეგოს?! როგორც ამბობენ, სწორედ მან გასცა სიტყვიერი ბრძანება დემონსტრანტთა ძალით დაშლის თაობაზე. ადმინისტრაციის უფროსის გადადგომასთან ერთად უკრაინის პარლამენტის უმრავლესობის „რეგიონა პარტიის“ რიგები დატოვა 4 პარლამენტარმა, ე.წ. „ფირტაშის“ ხალხმა.

არც უმრავლესობის ფრაქციაშია საქმე დაწყობილი. ხალხი უკმაყოფილებას გამოთქვამს უმრავლესობის მიმართ. მას კორუფციაში ადანაშაულებს, გარდა ამისა რუსეთის მიმართ წინასაარჩევნოდ აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობაში. არადა, კაცმა რომ თქვას, ისინი, სწორედაც პრორუსულობის გამო აირჩია ხალხმა და არა პროდასავლურობისთვის. მათ მიმართ ხალხს ტონა კომპრომატი აქვს, უამრავი პრეტენზია. ხალხი ამხელს მათ აფერიზმში, კორუფციაში. ხალხი თვლის, რომ ისინი ცუდი ხელმძღვანელები არიან.

ხალხი გამოვიდა ქუჩაში — ყოველივე კარგი ყოველივე ცუდის საწინააღმდეგოდ. ხალხის ამ განწყობას თავი მოუყარა კომპანია „GFK Ukraine“. მისი მიხედვით, უკრაინელთა 27% - ს ძულს ხელისუფლება. მთავრობისადმი სიმპათია არც აღმოსავლეთში შეინიშნება. გარდა ამისა 8%-დან 4%-მდე შემცირდა იმათი რაოდენობა, ვისაც ერიდება ან ეშინია მთავრობის. პოლიტიკური ელიტისადმი სიმპათიას მოსახლეობის მხოლოდ 1% გამოთქვამს.

მძიმე სურათია ხელისუფლებისთვის. ეს ისეთი მღვრიე წყალია, სადაც იოლად იჭერენ თევზს დასავლელი პოლიტტექნოლოგიები, მრავლად ჩასულნი უკრაინის დედაქალაქში.

ხელისუფლება დღესაც ორჭოფობს, თუმცა, აიმედებს ევროკავშირს ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით. რას მოიტანს ეს ჩიხში მოქცეული უკრაინისთვის? ძნელი სათქმელია, ვინაიდან ნანატრი ევროპული ბედნიერებისკენ გზა, აზაროვის განმარტებით, არაუმცირეს 10-წლიანია.

უკრაინის რუსეთისგან ჩამოშორება ამ უკანასკნელისთვის არცთუ სახარბიელო პერსპექტივაა, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. მოსკოვმა ვერა და ვერ ჩამოაყალიბა პოლიტიკა ყოფილ საბჭოელებთან მიმართებაში. რუსეთში არსებული ლიბერალური ძალები დღენიადაგ გაჰყვირიან ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან ყოველგვარი ძველებური ურთიერთობების აღკვეთაზე.

ისინი მხარს უჭერენ ისეთ ურთიერთობებს, როგორებიც რუსეთს აქვს დასავლეთის ქვეყნებთან, რაც პოლიტიკური თვალსაზრისით კრემლისთვის მიუღებელია. თუ მხედველობაში მივიღებთ რუსეთის მიმართ დასავლეთის ერთობ არამეგობრულ დამოკიდებულებას, სამომავლო გეგმებს, რომლის მიხედვით, რუსეთი სუსტ ქვეყნად უნდა იქცეს, კრემლის პოლიტიკა სახელმწიფოებრიობით არის განპირობებული ანუ სახელმწიფოს გადასარჩენად.

სახელმწიფოს უპირველესი ამოცანაა მეზობლად ისეთი სახელმწიფოების ყოლა, რომლებთანაც ლოიალური დამოკიდებულება იქნება. ევროპასთან ასოცირებული უკრაინა, მოლდოვა, თუნდაც საქართველო ამის ნაკლებ საბაბს იძლევა. მეტოქე ევროპა, აშშ-თან ერთად, ყველაფერს ილონებს რუსეთის დასაძაბუნებლად.

რუსეთისთვის უკრაინის ჩამოშორება, ეკონომიკური თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი დანაკარგი იქნება, ვინაიდან სამხედრო მრეწველობისთვის საჭირო კომპონენტები, საბჭოეთიდან მოყოლებული, უკრაინაში მზადდება. კავშირების გაწყვეტის შემთხვევაში მოსკოვს მოუწევს ახალი ქარხნების აშენება, რაც დიდ ფულთან არის დაკავშირებული. მაგრამ ეკონომიკურ დანაკარგთან პოლიტიკური, ახლოსაც ვერ მივა. და რომ ეს არ მომხდარიყო, კრემლს ადრე უნდა ეფიქრა.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**



# დავანდა სული მბორგალი...



მოქანდაკე გენო ზაქარაიამ ახლახან შექმნა დიდი მწერლის პორტრეტი. საუკუნის შემოქმედს ძალიან მოეწონა ნიჭიერი მხატვრის ნახელავი. გენო ზაქარაიას ნაქანდაკარს დღეს ჩვენს მკითხველსაც ვაცნობთ...

## დიდი ეპოპეა, სახელად ჭაბუა

ჭაბუა ამირეჯიბის ცხოვრება უნიკალური სცენარია დიდი ფილმისთვის — სარკეა იმ რეალობისა, რომელშიც ცხოვრება მას მაღალმა ღმერთმა არგუნა.

ბატონ ჭაბუას „სიჩუმის წლები“ ისეთივე ხმაურიანი და მეტყველი იყო, როგორც მთელი მისი ცხოვრება. ის უცნაურმა ყოფამ (ავადმყოფობამ) ვერ გატეხა და ვერც გააჩუმა, თავისი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში ერთი წუთითაც არ მდგარა მუხლებზე.

ბედნიერი კაცი იყო. მთელი საქართველო აღმერთებდა, მისი არ შურდათ, უფრო სწორად, ვერ შურდათ, ბიოგრაფიით და ცხოვრების წესით გადალახა შურის მიჯნა.

ბატონმა ჭაბუამ დათა თუთაშხიათი სამარადისო ძეგლი აუგო მთელს საქართველოს, სამეგრელოს განსაკუთრებით... მჯერა, ჩემი კუთხე ვალში არ დარჩება. ბატონი ჭაბუას ხსოვნისა და სამადლობელის ნიშანი უნდა იყოს სამეგრელოს ყველა ქალაქში, იქნება ეს ძეგლი, ბიუსტი თუ მემორიალური ფილა ყველასათვის საერთო, ლაკონური წარწერით „გმადლობთ, ჭაბუა“.

დამთავრდა ამქვეყნიური ცხოვრება. იგი გადავიდა სამარადისოში და ლეგენდებში.

**ვახტანგ დავითაია**

---

ნათელა და ვახტანგ დავითაიები დიდი

**ჭაბუა ამირეჯიბის**

გარდაცვალების გამო სამძიმარს უცხადებენ უსათნოეს, უერთგულეს მეუღლეს, ქალბატონ თამარს და მთელ ოჯახს.

---

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ უღრმეს გულისტკივილს გამოხატავს დიდი ქართველი მწერლის, სიცოცხლეშივე კლასიკოსად აღიარებული პროზაიკოსის, ბრძენი ერისკაცის, საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ჯვარცმული მებრძოლის, ბერად შემდგარი და ისევ სამშობლოს ბედნიერებისთვის მლოცველის, „დათა თუთაშხიას“ და სხვა უკვდავი რომანების ავტორის

**ჭაბუა ამირეჯიბის – ბერი დავითის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის დიდებულ მეუღლეს თამარ ჯავახიშვილს, ოჯახის წევრებს, მთელ შთამომავლობას და სრულიად საქართველოს.

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „მამულიშვილთა გახსენება“ და მისი პრეზიდენტი ბონდო კობაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დიდი ქართველი მწერლის, ფონდის პროექტების მხარდამჭერისა და მისი ბრწყინვალე შემფასებლის

**ჭაბუა ამირეჯიბის (ბერი დავითი)**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს და სრულიად საქართველოს.

---

ქ. თბილისის კუს ტბის საზოგადოება ღრმა მწუხარებას გამოხატავს ერის საუკეთესო წარმომადგენლის, საქართველოს სახალხო მწერლის

**ჭაბუა ამირეჯიბის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის შვილს ლაშა ამირეჯიბსა და ოჯახის სხვა წევრებს.

---

## ჭაბუა ამირეჯიბს

ეს ლექსი „ქართული მუხამბაზებიდანაა“, რომლის გამოქვეყნებას მწერლის დაბადების დღეს – 18 ნოემბერს ვაპირებდი. ღმერთი თურმე სხვანაირად ფიქრობდა. ახლა ვიგონებ მასთან ბათუმურ შეხვედრებს დიდებულ აზიზ ახვლედიანსა და შოთა ქურიძესთან ერთად და გული მწყდება, რომ ჩემი ზედმეტად მოკრძალებულობის გამო, უფრო ხშირად არ ვიყავი მის გვერდით, რისთვისაც უამრავი საბაბი მქონდა.

შე მართლა ბებერო მგელო და დოგო,
შე მართლა ბერმუხავ, გრემო და თმოგვო,
შე მართლა პილიგრიმო, შე მართლა მოგვო,
ამხელა მსხვერპლი გაიღე როგორ?!
რა ჰქენ, რა მდიდარი საუნჯე მოგვე!

ჩემი სათქმელი გითხარი შერჩევით,
შენ სხვის საქმეში არასდროს ეჩრები,
შენ შენი წიგნებით ქვეყანას შერჩები,
თავს დაგიხრიან მსოფლიოს ელჩები,
რა ჰქენ, რა მდიდარი საუნჯე მოგვე!

შე მართლა სიტყვის გრაფო და თავადო,
ვაი, თუ მეც მალე გაგითამამდე,
თავადო, დიდზე დიდ თამადებს თამადობ,
დიდო თავადო და დიდო თამადავ,
რა ჰქენ, რა მდიდარი საუნჯე მოგვე!

ქვეყანა და ხალხი, მთასა თუ ბარში,
ყველანი ერთად ვართ ჭაბუას ვალში,
შიგნით თუ გარეთ, სახლსა თუ კარში,
წინაპრებს პირნათლად უდგახარ კვალში,
რა ჰქენ, რა მდიდარი საუნჯე მოგვე!

ეს არც მითია და არცა არაკი,
შენ ხომ ქვეყანას ვაჟი უზვარაკე,
მომავალი შენზე ილაპარაკებს,
ჯვარდაწერილო სიკვდილის ბანაკებს,
რა ჰქენ, რა მდიდარი საუნჯე მოგვე!

**შოთა ზოიძე**

**ლეგენდარულმა მწერალმა რედაქციაში პუბლიცისტური წერილი მოგვიტანა და „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლებთან სამახსოვრო სურათიც გადაიღო... 1998 წელი.**



## „...და, მოგონებად, დარჩა წარსული“

**წავიდა** ჭაბუა ამირეჯიბი – დიდი მწერალი, დიდი მამულიშვილი... და დატოვა უკვდავი სახელი, რომელიც თაობებს გასწვდება. ბარე ორჯერ სიამაყით მითქვამს და დამიწერია, როგორ მთვლიდა იგი თავის უმცროს მეგობრად. ეს მეგობრობა კი გასული საუკუნის სამოციანი წლების ბოლოს დაიწყო და აგერ, აქამდე გრძელდებოდა. 1969 წელს ბატონმა ჭაბუამ მიმიღო კინოინფორმაციისა და რეკლამირების ბიუროში, ორი წელი ვმუშაობდი მის გვერდით, ხოლო, შემდეგ და შემდეგ, კიდევ მრავალჯერ შევხვედრივართ – ის უკვე სახელდიდებიანი მწერალი – „დათა თუთაშხიას“ ავტორი, მე კი სხვადასხვა რედაქციაში მოღვაწე ჟურნალისტი.

აი, ორი მოგონებაც იმ შეხვედრებიდან:

* * *

**1995 წლის** ცხელი ზაფხულია, „გორა მბორგალი“ ახალი გამოსულია ცალკე წიგნად. დავურეკე ბატონ ჭაბუას, მოვიკითხე, ახალი რომანის გამოსვლა მივულოცე, ჩვენ უკვე ვაუწყეთ მკითხველს-მეთქი. თუ გამოივლი, გაჩუქებო, მეუბნება. მეც მეტი რა მინდოდა?!. „დავგაზე“ ვაკისკენ, ავედი მის ბინაში მეცხრე სართულზე.

კარი მწერლის ერთგულმა თანამეცხედრემ, ქალბატონმა თამარმა გამიღო და უცებ აღმოვჩნდი ტრუსის ამარა მწერლის პირისპირ. კი, ასე იჯდა დივანზე ჭაბუა ამირეჯიბი – ლამის დედაშობილა – მხოლოდ ტრუსის ამარა – და „დათა თუთაშხიას“ მთავარ ოპერატორს ლევან ნამგალაშვილს ებაასებოდა, წინ რამდენიმე ცალი წიგნი ედო („გორა მბორგალი“ წავიკითხე ყდაზე) და ტიტულზე რაღაცას აწერდა.

შემომხედა, ორივეს ხელს ვართმევ. „მოდი ვილენ, გაკოცო... აგერ ახლოს ჩამომიჯექი... ლევანს კი იცნობ... ახლა ისრაელში ცხოვრობს და მოღვაწეობს... ჩემს ებრაელ მეგობრებთან ახალ რომანს ვატან საჩუქრად...“

ასე უბრალოდ, ასე შინაურულად, მხოლოდ მახლობელ ადამიანებს თუ ვიღებთ ოჯახში ქართველები, და, უპირველესად, ეს მესიამოვნა.

„რა გაკვირვებით მიყურებ... თვრამეტი კილო დავიკელი ამ ავადმყოფობაში. მაინც ვარ, მტრის ჯინაზე“...

ლევან ნამგალაშვილი მალე გვტოვებს, ქალბატონ თამარს ხენდროს კომპოტის წვენი შემოაქვს მაღალ-მაღალი ჭიქებით – ცხელა, გესიამოვნებათო, და ფეხაკრეფით გადის, აქაურობას ერთი ფოტოსურათი მიმატებია – ბუხრის თავიდან აფხაზეთში გმირულად დაღუპული ვაჟკაცი შემოგვცქერის – ირაკლი ამირეჯიბი – ვაჟიშვილი ჭაბუასი.

გულ-მკერდზე ვეებერთელა ტატუ აქვს ამოტვიფრული – წმინდა გიორგი ურჩხულს ებრძვის. – ეს როდინდელი დახატულია?

– კარგა ხნის... ავჭალაში ვიჯექი მაშინ... მოქანდაკე ლევან ცომაიას „ნამუშევარია“... ატოცის წმინდა გიორგია. ჩვენი გვარის მფარველი. ვფიქრობდი, ის ყველა გაჭირვებას გადამატანინებდა, ყოველ შეხვედრაზე გამახსენდებოდა – ფრთხილად მემოქმედა... მე ხომ პატრიოტული ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ წევრი ვიყავი...

– ისე, „გორა მბორგალი“ მცირე ტირაჟით კი გამოვიდა, მაგრამ მაინც ექნება ზოგ-ზოგს წაკითხული... გამოგეხმაურათ ვინმე?

– ბევრი გამომეხმაურა... მკითხველი, კოლეგა, ზოგიც – კრიტიკოსი... რომან მიმინოშვილმა ერთ-ერთ გაზეთში უკვე გამოაქვეყნა წერილი... შენი ინფორმაციაც წავიკითხე „კომუნისტში“.

– როგორ გგონიათ, ბატონო ჭაბუა, შეისხა ხორცი ჩანაფიქრმა?

– „დათა თუთაშხია“ ხომ დავწერე, ვგრძნობდი, რომანი გამომივიდა, ხოლო რა ბედი ეწეოდა შემდეგ, არ ვიცოდი. ასეა – ამ შემთხვევაშიც... უკმარისობის გრძნობა მაქვს, მაგრამ, ჯერჯერობით, ვერაფერს ვიტყვი, დროა საჭირო...

– მაშინ, გაზეთისთვის, ჩვენც მოგვიანებით ვისაუბროთ?..

– აჯობებს...

იღებს წიგნს, აწერს სატიტულოზე და მაწვდის: – ეს შენ, ჩემო კარგო... მაგრად იყავი!..

სახეგაბადრული ვართმევ საჩუქარს, ვკოცნი გამხმარ ღაწვებზე, მოგვიანებით შეგაწუხებთ და ვრცლად ვისაუბროთ წიგნის შესახებ-მეთქი... და ვემშვიდობები...

* * *

**არაჩვეულებრივი** პიროვნების, გაზეთ „კომუნისტის“ გამორჩეული რედაქტორის, სულგანათლებული გიორგი ბედინეიშვილის მხარდაჭერით, როგორც იქნა, მივიღე ბინა – დიღმის მასივის მცხოვრები გავხდი. მაგრამ, იცოცხლეთ, სარემონტოა. მეც ვარემონტებ რაღაც-რაღაც საშუალებებით... დამთავრებისკენ მიდის საქმე, მაგრამ, „ვიჭედები“ – ფული მაკლდება. ერთ დღესაც ქუჩაში შემთხვევით მხვდება გაზეთ „ეკრანის ამბებში“ ჩემი ყოფილი რედაქტორი, მშვენიერი ქალბატონი ვერა გიუნაშვილი. მოვიკითხეთ ერთმანეთი. ვერამ, რომ გაიგო ჩემი ბინის მიღების ამბავი, ცხადია, გაიხარა, მაგრამ ფინანსურ მხარდაჭერაზე, შეფიქრიანდა. მეუბნება: „მიდი, სცადე ჭაბუა ამირეჯიბთან... ხომ იცი, დოკუმენტური ფილმების სტუდიის დირექტორია... იქნებ, რამე თემა შემოგთავაზოს სცენარისთვის და თუ გააკეთებ, ცოტა ჰონორარს გამოგიწერს... ერთ-ორჯერ მე გამიმართა ხელი, დალოცვილმა!..

ავდექი და მივედი ჩემ „ირაკლიევიჩთან“. მოვუყევი, რაც მჭირდა. ჩაათვალიერა ბატონმა ჭაბუამ წლიური გეგმა. შენი თემა რომ არაფერია, ბიჭოო? (კულტურის საკითხებს გულისხმობდა). რას დავეძებ-მეთქი, მაშინ, აგერ, ძმაო, მოსკოვიდან, სახალხო მეურნეობის გამოფენიდან გვაქვს ერთნაწილიან ფილმზე შეკვეთა „სოცშეჯიბრება ცხიმკომბინატში“... მიდი, გააკეთე სცენარი, სულ რამდენიმე გვერდი დაჭირდება. და... ვნახოთო...

გავქანდი „ცხიმკომბინატში“, ვიცნობდი მის დირექტორს, შესანიშნავ პიროვნებასა და საქმის კაცს შოთა ქუტიძეს. მომატარა ბატონმა შოთამ იქაურობა, გავესაუბრე მუშა-მოსამსახურეებს, დავწერე ეს ყველაფერი – სულ ხუთ გვერდზე და მივიტანე სტუდიაში. ჩაათვალიერა სტუდიის ერთ-ერთმა რედაქტორმა, ქალბატონმა ნელი დოლიძემ, რად გინდოდათ, ამდენიო, აქ დამელოდეთო, ცოტა ხნის შემდეგ კი შემოდის და მეუბნება, მიდით სალაროში, კუთვნილი ფული აიღეთო... და, 1000 მანეთი ჩავიჯიბე.

ერთი-ორი კვირის შემდეგ ნელი დოლიძე უკვე სამსახურში მირეკავს: მოდით, პრემია მიიღეთ 500 მანეთიო!.. საქმე ის არის, რომ ჩემი სცენარის მიხედვით, უკვე გადაუღია სტუდიას ერთნაწილიანი ფილმი, რომელსაც მოსკოვში, „ვედენხაზე“ დიდი მოწონება დაუმსახურებია და ფილმის ავტორებსაც პრემიები დაურიგდათ. დაუჯერებელია, არა?!. ასე იყო, ეს საქმე – ჭაბუა ამირეჯიბის მიერ მირონცხებული, მისი ცხელი გულით გაკეთებული...

**ვილენ მარდალეიშვილი**

თაობა

# გმადლობთ, დინამოელებო!



**სანკტ-პეტერბურგში გამართული მოზარდთა დინამიადა თბილისის „დინამოს“ ვიტალი დარასელიას სახელობის ბავშვთა საფეხბურთო აკადემიის 13-წლამდელთა გუნდის ტრიუმფით დასრულდა (მთავარი მწვრთნელი ოთარ გაგნიძე, გუნდის უფროსი თემურ უგრეხელიძე).**

ქართველებმა ნახევარფინალში კიეველ — 3:1, ხოლო ფინალში მოსკოველ თანატოლებს სძლიეს — 3:2 და თანამემამულეებს მშვენიერი საშობაო საჩუქარი უძღვნეს.

ვულოცავთ!

**როსტომ რაჭველიშვილი**

ჩემპიონთა ლიგა

# წილი ნაყარია



**გუშინ შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბბინაში მოეწყო ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალისტთა კენჭისყრა, რომელმაც მეტოქენი ასე დააწყვილა (21-22 თებერვალი, 7 — 8 მარტი).**

**„სიტი“ — „ბარსელონა“,**
**„ოლიმპიაკოსი“ — „მანჩესტერი“,**
**„მილანი“ — „ატლეტიკო“,**
**„ლევერკუზენი“ — „პარი სენ-ჟერმენი“,**
**„გალათასარაი“ — „ჩელსი“,**
**„შალკე“ — „რეალი“,**
**„ზენიტი“ — „ბორუსია“,**
**„არსენალი“ — „ბაიერნი“.**

რასაკვირველია, ამ ეტაპზე მართლაც ღირსეულნი ითამაშებენ, მაგრამ რამდენიმე წყვილის შემადგენლობა, დაგვეთანხმებით, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს და მათ ორრაუნდიან დუელში გამარჯვებული დიდი ალბათობით შეგვიძლია გაისად მაისში ლისაბონში გასამართი ფინალური მატჩის შესაძლო მონაწილედ მივიჩნიოთ. ასეთებია, უპირველესად, „არსენალი“ — „ბაიერნი“ და „სიტი“ — „ბარსელონა“, აგრეთვე „მილანი“ — „ატლეტიკო“ და „ლევერკუზენი“ — „პარი სენ-ჟერმენი“, თუმცა პლეი-ოფის დანარჩენ მონაწილეთა ამბიციების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, არც სხვა ფავორიტებს ელით იოლი გასეირნება.

**მანუჩარ გიორგაძე**

ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური



**XXV ეროვნული ჩემპიონატი. XVII ტური.** „დინამო“ — „ვიტ ჯორჯია“ 0:1 (კასრაძე), „დილა“ — „ჩიხურა“ 0:0, „მეტალურგი“ — „გურია“ 3:1, „ტორპედო“ — „ბაია“ 1:2, „სიონი“ — „მერანი“ 2:0, „ზესტაფონი“ — „ცხინვალი“ (გადაიდო).

**ლიდერთა ჯგუფი.** „დინამო“ — 39, „ჩიხურა“ — 34, „დილა“, „გურია“ — 27-27 ქულა.

* * *

**იტალია.** „იუვენტუსი“ — „სასუოლო“ 4:0, „ნაპოლი“ — „ინტერი“ 4:2, „ფიორენტინა“ — „ჯენოა“ 3:0.

**ესპანეთი.** „ბარსელონა“ — „ვილიარეალი“ 2:1, „ოსასუნა“ — „რეალი“ 2:2, „ატლეტიკო“ — „ვალენსია“ 3:0.

**ინგლისი.** „ტოტენჰემი“ — „ლივერპული“ 0:5, „სიტი“ — „არსენალი“ 6:3, „ასტონ ვილა“ — „მანჩესტერი“ 0:3.

**გერმანია.** „ბაიერნი“ — „ჰამბურგი“ 3:1, „ლევერკუზენი“ — „აინტრახტი“ 0:1, „შალკე“ — „ფრაიბურგი“ 2:0.

**საფრანგეთი.** „ლიონი“ — „მარსელი“ 2:2, „რენი“ — „პარი სენ-ჟერმენი“ 1:3, „გენგამი“ — „მონაკო“ 0:2.

**გიორგი შოთაძე**

კალათბურთი

# დაისვენეთ, ბიჭებო!

**სუპერლიგის I წრის ფინიშზე პირველი მარცხი იწვნია გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა თბილისის „დინამომ“, რომელიც მისმა ერთ-ერთმა უახლოესმა მდევარმა „ქუთაისმა“ დაამუხრუჭა — 83:78.**



ქვეყნის ჯერაც საპარლამენტო დედაქალაქში გამართულ ამ მატჩში სტუმრებს გუნდის ლიდერი ლაშა გამყრელიძე აკლდათ, უყოჩოდ დარჩენილი ფარა კი უფსკრულში გადაჩეხვისგან ვერავინ იხსნა.

რაც შეეხება თბილისურ შეხვედრებს, დრამატულად განვითარდა მოვლენები შსს აკადემიისა და „ბათუმის“ ბრძოლაში, რომელიც ბოქოლიშვილისა და როგავას ძალისხმევით ძალოვნებმა მოიგეს — 75:72. აღსანიშნავია, რომ საფინალო სასტვენამდე 5 წუთით ადრე ზღვისპირელები 12 ქულით დაწინაურდნენ, მაგრამ მათმა წამყვანმა ამერიკულმა ტრიომ დროის გადამწყვეტ მონაკვეთში პარტნიორები დააღალატა და სოლიდური უპირატესობაც თბილისური თოვლივით გადნა.

**VIII ტურის დანარჩენი შედეგები:**

„არმია“ — „სოხუმი“ 56:79, „რუსთავი“ — „ოლიმპი“ 68:66. ისვენებდა „მაკაბი“.

**სატურნირო მდგომარეობა I წრის შემდეგ:** „დინამო“ — 7, „არმია“, „ქუთაისი“ — 6-6, „ბათუმი“, „სოხუმი“ — 5-5, შსს აკადემია — 4, „რუსთავი“ — 2, „ოლიმპი“ — 1, „მაკაბი“ — 0 მოგება.

ეროვნული ჩემპიონატი გაისად თებერვალში განახლდება, თუმცა მანამდე — 20-24 დეკემბერს ვაკეში მდებარე ბავშვთა საკალათბურთო აკადემიის დარბაზი ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას ტრადიციულ მემორიალს უმასპინძლებს, რომელშიც მონაწილეობაზეც „მაკაბიმ“, „ბათუმმა“ და „სოხუმმა“ რატომღაც უარი განაცხადეს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

კერპი

# მაიკ ტაისონი: ჩემში უდიდესი ტკივილი ზის, რომელიც უნდა ამოვძირკვო!

**მსოფლიო კრივის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური სპორტსმენის მაიკ ტაისონის უაღრესად გულახდილი ავტობიოგრაფიული წიგნის პრეზენტაციაზე მან, სხვა სენსაციურ განცხადებებთან ერთად, კერძოდ, თქვა: „კოკაინის ყნოსვა თორმეტი წლის ასაკში დავიწყე, ალკოჰოლის სმა კი — აკვანში. რომ დამეძინა, დედაჩემი ჯინს მასმევდა“. თუმცა ეს მაინც არ არის მის გამონათქვამებში ყველაზე მეტად შოკისმომგვრელი. აი, მაგალითად, რას ამბობს იგი უამრავ სხვადასხვა რამეზე, მათ შორის:**



**პრიორიტეტების შესახებ:** „მიზნად დავისახე იმდენი ქალი მყოლოდა, რამდენიც საერთოდ შეიძლება კაცს რომ ჰყავდეს. მათ გარეგნობას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მთავარი იყო, რომ ესუნთქათ“.

**ევანდერ ჰოლიფილდის მოჭმული ყურის შესახებ:** „ორთაბრძოლის დროს ძალიან დავიღალე, ცოტა ხნით თითქოს გრძნობაც დავკარგე, მაგრამ ადრენალინის ამოფრქვევამ რინგზე დამაბრუნა. უბრალოდ, მისი მოკვლა მინდოდა, საკუთარ თავზე ყოველგვარი კონტროლი დავკარგე“.

**თავისი ოთხი წლის ქალიშვილის შესახებ, რომელიც სახლში უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა:** „მისი სიკვდილის შემდეგ მივხვდი, რომ მთელი ჩემი ცხოვრება მანამდე ერთი დიდი ტყუილი იყო, ამიტომაც ახალი ცხოვრება დავიწყე“.

**ალკოჰოლური დამოკიდებულების შესახებ:** „სიგიჟემდე მინდა გამოჯანმრთელება. ჩემში უდიდესი ტკივილი ზის, რომელიც, რადაც უნდა დამიჯდეს, უნდა ამოვძირკვო“.

**ციხეში დაბრუნების შესახებ:** „ზოგჯერ ვზივარ ჩემთვის და ვფიქრობ, როგორ იქნება, ვინმეს ტვინი რომ გავასხმევინო. ასე რომ, სავსებით შესაძლებელია, მთელი დარჩენილი სიცოცხლე ციხეში გავატარო. ეს გამორიცხული არ არის“.

**გაუპატიურებისთვის ციხეში გატარებული სამი წლის შესახებ:** „სხვათა შორის, მთელი ამ ხნის განმავლობაში სექსი სულ მქონდა — სტუმრებთან, ნარკოდამოკიდებულების სპეციალისტებთან. იმდენი სექსი მქონდა, რომ სპორტდარბაზში სიარულისთვის ძალა აღარ მრჩებოდა“.

**ჩემოდნის შესახებ, რომელშიც მილიონი დოლარი იდო:** „ერთხელ სადღაც ჩემოდანი „დავთესე“, სადაც მილიონი დოლარი ნაღდი ფული იდო. მაგარი გიჟური ღამე გავატარე და უბრალოდ აღარ მახსოვდა, სად მივაგდე. ერთი კვირის შემდეგ ჩემოდანს ჩემმა ასისტენტმა მიაგნო“.

**ბრედ პიტის შესახებ:** „ერთხელ, ერთმანეთს შემთხვევით პირისპირ რომ შევხვდით, ხვეწნა დამიწყო: „ეი, ძმაო, ხელი არ დამარტყა. გეუბნები, არ დამარტყა, ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს, შენ — შენი, კარგად იყავი!“

**თვითმკვლელობის შესახებ:** „მგონია, რომ მძულს ჩემი ცხოვრება, მძულს საკუთარი თავი. მაგარი ბიჭი რომ ვიყო, თავს მოვიკლავდი“.

**ნინო ალექსანდრია**

## დედამიწის ზურგზე

### უკრაინის კომპარტია ეხმარება ოპოზიციას, გადააყენოს პრემიერ-მინისტრი

კომუნისტები და „ევროინტეგრირებული“ ოპოზიცია, რომლებიც კატეგორიულად არ ეთანხმებოდნენ ერთმანეთს ამ ცოტა ხნის წინათ, მზად არიან ერთობლივად შეაგროვონ სახალხო დეპუტატების ხელმოწერები მინისტრთა კაბინეტის გადაყენებასთან დაკავშირებით. სხვათა შორის, პრემიერ-მინისტრს ჯერჯერობით არაფერი ემუქრება, აცხადებენ რეგიონების პარტიაში. აი, რამდენიმე მისი ხელქვეითი შეიძლება ჩქარა ჩამოაშორონ საქმეს.

### ფილიპინებზე ესტაკადიდან ავტობუსის ჩამოვარდნის დროს 20-ზე მეტი კაცი დაიღუპა

ავტობუსი სიმაღლიდან ავტოფურგუნს დაეცა და ლითონის ხროვად იქცა. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მიზეზებს სწავლობენ, ძირითად ვერსიებს შორის ასახელებენ ასფალტის სისველეს წვიმისგან და ავტობუსის მძღოლის მიერ სიჩქარის გადამეტებას. თვითმხილველთა ცნობით, მძღოლს შეეძლო განევითარებინა საათში 100 კილომეტრის სიჩქარე.

* * *

### ქორწილის მიმართულებით ჰაერიდან სროლის შემდეგ იემენის პარლამენტმა აკრძალა უპილოტო თვითმფრინავების გამოყენება თავის ტერიტორიაზე

პარლამენტის მიერ შემოღებული აკრძალვა არ ითვლება სავალდებულოდ და განიხილება, როგორც რეკომენდაცია მთავრობისთვის. საკითხის განხილვის საბაბი გახდა საქორწილო კორტეჟის დახვრეტა 12 დეკემბერს, რის შედეგადაც 10-ზე მეტი მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა.

* * *

### იანუკოვიჩი კიევში ჩამოსულ ამერიკელ სენატორებს შეხვდა

ჯონ მაკკეინთან და კრის მერფისთან საუბარში უკრაინის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ხელისუფლება ყველაფერ შესაძლებელს გააკეთებს, რომ მოქალაქეებს ჰქონდეთ მშვიდობიანი აქციების მოწყობის საშუალება. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ უკრაინის ევროატლანტიკური კურსი უცვლელია.

* * *

### სირიაში ბოევიკებმა დამასკოსთან 90 მძევალი სიკვდილით დასაჯეს

გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს ქალაქ ადრაში. მძევლები გამოიყენეს, როგორც ფარები, და სამხედრო სარდლობამ უარი განაცხადა იქ არტილერიის გამოყენებაზე. ამტკიცებს სახელმწიფო ტელევიზია. არმიის სპეციალური ქვედანაყოფებს იერიში მიაქვთ ყოველ სახლზე.

* * *

### მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გაიგეს გერმანიაში ორი საკვანძო მინისტრის სახელი: თავდაცვის სამინისტროს სათავეში პირველად ქალი ჩაუდგება

საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი და ვიცე კანცლერი გახდება გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი ფრანკ-ვალტერ შტეინმაიერი, თავდაცვის სამინისტროს კი შეიძლება სათავეში ჩაუდგეს ურსულა ფონ დერ ლეინენი, ამჟამინდელი შრომის მინისტრი.

* * *

### ჩილეში ამომრჩეველთა უკიდურესად დაბალი გამოცხადების პირობებში პრეზიდენტი მეორე ტურით აირჩიეს

როგორც ექსპერტები ვარაუდობდნენ, ქვეყნის მოქალაქეები მცირე ინტერესს ავლენდნენ კენჭისყრისადმი, ვინაიდან წინასწარ იცოდნენ მისი შედეგები. სასწაული, რისი იმედიც ჰქონდა კანდიდატს ეველინ მატეის, არ მოხდა: მან წააგო. გაიმარჯვა მიშელ ბაჩელეტმა, რომელიც უკვე ედგა ქვეყანას სათავეში 2006-1010 წლებში.

## ნაირსახეობა მათხოვრობისა

# ქართველი კომპრახიკოსები?!



## რატომ უნდა ბედავდნენ ამდენს ვიგინდარები?

**გამორჩენის მიზნით ადამიანთა გრძნობებზე თამაში, ცოტაოდენი ფულის დასატყუებლად მათი გულის მოლბობის მცდელობა, სამყაროსავით ძველია. თუ რა გზებს მიმართავდნენ იმთავითვე ამ მიზნის მისაღწევად უსინდისო ადამიანები, ამის ერთ-ერთი ყველაზე საზარელი მაგალითი ვიქტორ ჰიუგოს ცნობილი რომანის „კაცი, რომელიც იცინის“ მთავარი გმირის გუიმპლენის სევდიანი თავგადასავალია, რომელიც კომპრაკჩიკოსებმა ცირკის მასხრად გასახდომად სამუდამოდ დაუნდობლად დაამახინჯეს.**

ისე კი, როგორც გინდათ თქვით და, მათხოვრობა დიდი ბიზნესიცაა: საქმე იქამდეა მისული, რომ ინტერპოლი საერთაშორისო დამნაშავეთა ჯგუფებს უდგას კვალში, რომლებიც ხალხს – ორივე სქესის ბავშვებს, ზრდასრულებს, ხანდაზმულებსაც კი იტაცებენ, ბარბაროსულად ამახინჯებენ და მათხოვრობას აიძულებენ! თუ ვისმეს წარმოჩენილი სურათი გაზვიადებულად და გაბუქებულად ეჩვენება, ნათქვამის სინამდვილეში დასარწმუნებლად თუნდაც თბილისის ცენტრში, რუსთაველის პროსპექტზე სხვადასხვა ადგილას, ხშირად კი მეტროს სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე შეუძლია იხილოს ტროტუარზე დაფენილ გაქუცული ბამბაზიის თხელ საბანზე როგორ გდია ნახევრად შიშველი (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით!) ხეიბარი და გულისწამღები ხმით „დამეხმარეთ, დამეხმარეთო“ მოთქვამს. სიმართლე გითხრათ, მის „სამუშაო ადგილამდე“ „ტრანსპორტირებას“ პირადად არასდროს შევსწრებივარ, მაგრამ ფაქტია, რომ თავისით ეს კაცი ვერ გადაადგილდება, ვიღაცეებს მოჰყავთ, უკანაც მიჰყავთ, თუნდაც მინიმალურად მაინც ხომ უვლიან?! თანაც ეს კაცი არაა ამ „სტილის“ ერთადერთი წარმომადგენელი – ასეთივე მდგომარეობაში ტოვებენ 7-8 წლის გოგონასაც...

წლების წინათ მეტროს სადგურ „მარჯანიშვილის“ ქვედა ფოიეში 25 წლამდე ახალგაზრდა კაცს წავაწყდი, როცა იგი 10-12 წლის მათხოვარ გოგონებს ბოშურად რაღაცას უყვიროდა, თან ზოგს ხელსაც ურტყამდა... იმ ვაჟბატონს, მართალია, ხელით არ შევხებივარ, თუმცა სიტყვით კი, იცოცხლეთ, ვაკადრე, რასაც იმსახურებდა... ამით, ცხადია, საქმეს ვერ ვუშველე, მაგრამ გული კი გვარიანად მოვიოხე.

ცოტა ხნის წინათ კი მოსკოვში „მათხოვრობის კონვეიერის“ საშუალო და დაბალი რგოლის რამდენიმე ასეული „მენეჯერი“ დააკავეს, რომლებსაც ყოველ ცისმარე დღეს, ნებისმიერ ამინდში, ავტობუსებით „სამუშაო წერტილებში“ გადაჰყავდათ ათასობით სამიდან(!) ოთხმოცდაათ წლამდე ასაკის ადამიანი, საღამოს კი უკანვე საცხოვრისებში, უფრო სწორად კი, მღრნელებითა და ტილებით სავსე ბუნაგებში აბრუნებდნენ. რამდენიმე ასეული კაცი კი დააკავეს, მერე მათი უმეტესობა, რომ იტყვიან პოლიციიდან „საჯდომში წიხლით“ გამოაგდეს, დანარჩენებს სასაცილო „სროკები“ მისცეს, მფარველებამდე კი, ცხადია, საქმე არც მისულა და, ბუნებრივია, ვერც მივიდოდა.

მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ „მათხოვრობის ბიზნესი“ ნაირსახისაა, მეტად მოქნილად (წლის დროებზე მორგებითაც კი!) და, რაც მთავარია, ვითარებისდა შესაბამისად მოქმედი.

ბოლო დროს მრავალი ეროვნული ტელეარხით და რადიოსადგურით, ნაკლებად ბეჭდვით მედიაში (მაგრამ მაინც!) მოსახლეობისადმი, კეთილი ხალხისადმი არაერთი მიმართვა გავრცელდა სნეული კოლეგა-ჟურნალისტების, პატარა ბავშვებისა თუ, უბრალოდ, უკიდურესად გაჭირვებული ხალხის სამკურნალოდ-საოპერაციოდ თანხის შეგროვების თაობაზე. ასეთივე განცხადებები ახლაც ხშირად მეორდება სხვადასხვა საყდრის მშენებლობასთან დაკავშირებით და ეს სავსებით გასაგები და მისაღებია – ვისაც შესაძლებლობა და, რაც უწინარესია, სურვილი აქვს რაღაცით შეეწიოს კეთილ საქმეს, დაე, შეეწიოს კიდეც და უფალმა ხელი მოუმართოს! არადა, ისევე, როგორც ცხოვრების ყველა მოვლენას, აქაც სიქველის ნათელ სხივს „ბნელი აჩრდილივით“ ათასგვარი ჯურის მამაძაღლი გამომძალავი გამოუჩნდა: ეს ყუთებმომარჯვებული, ხშირად, გაურკვეველი რჯულისა და ეროვნების (არანაირი „ფობი“ არა ვარ, ღმერთმანი, მაგრამ ამ ფაქტს, რაც გინდა იყოს, გვერდს მაინც ვერ აუვლი!) ახალგაზრდები ქუჩა-ქუჩა, უფრო მეტად კი მეტროში ვაგონიდან ვაგონში დადიან და გამვლელ-გამომვლელებს და მგზავრებს ვითომდა ვიღაც-ვიღაცეების სამკურნალოდ ფულს სძალავენ. ამ პლასტმასის ყუთებს სხვადასხვა ბავშვის ფოტო აქვს მიკრული და დაახლოებით 14-16 წლის ასაკის რამდენიმე ახალგაზრდა ქალ-ვაჟი დაყვება ხოლმე. წარწერებზე აღნიშნულია, რომ ამას და ამას, გერმანიაში (თურქეთში, საფრანგეთში), სამკურნალოდ 100 ათასი ევრო სჭირდება. გულმოწყალე ხალხიც იქექავს ქისებს თუ ჯიბეებს და ეჭვი არც ეპარება, რომ ამ დროს... უსინდისოდ მოტყუებული რჩება. „მოხალისე-შემგროვებელთა“ სახასიათო სახეები საკმაოდ თვალში საცემია, მეტროს მუდმივი მრავალი მგზავრისთვის უკვე „ძველი ჯიგარივითაა“, ზოგის სახელიც კი იციან. ყუთების ამალაში თითქმის არც ერთმა... ქართული კითხვა კი არა, მეტ-ნაკლებად გამართული ლაპარაკიც არ იცის – ერთხელ საქმე იქამდე მივიდა, რომ ყუთი... დაყირავებულად ეჭირათ და როცა ერთ-ერთმა მგზავრმა შენიშვნა მისცა, ვერაფრით დაადგინეს, სწორად როგორ უნდა დაეჭირათ.

მერედა, შენ რა გადარდებსო, – შესაძლოა თქვას მავანმა, – ვისაც უნდა ფულს გაიღებს, ვისაც არ უნდა, არაო. მაგრამ საქმე ისაა, რომ, დიახაც, მეც მეკითხება და თითოეულ ჩვენგანსაც. ცხადია, არავის მოვუწოდებ, თაღლითებს გაუსწორდით-მეთქი, მათი მოვლა პოლიციის საქმეა, მაგრამ თავი რომ არ უნდა მოვისულელოთ და ვიგინდარებს არ გავაცუცურაკებინოთ, ესეც ხომ ნაღდია?!.

ან იქნებ ვცდები, პატივცემულო მკითხველო?!

**ოთარ ტურაბელიძე**

**ელგუჯა ნადარეიშვილის** ფოტო.

## ინფორმაცია

### ძველი თბილისის ყოფილი გამგებლისა და მისი მოადგილის აფერა გაიხსნა

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, ძველი თბილისის რაიონის ყოფილი გამგებელი ლაშა ფურცხვანიძე და მისი ყოფილი მოადგილე კობა ხარშილაძე დააკავეს.**

**გამოძიების ინფორმაციით, ძველი თბილისის რაიონის გამგებელმა ლაშა ფურცხვანიძემ და მისმა მოადგილე კობა ხარშილაძემ 2007 წლის 1 მაისს, ნაცნობების: მარინა მურცხვალაძის, მამუკა მურვანიძის, გელა ქავთარაძის და კობა ყორღანაშვილის მეშვეობით დააფუძნეს შპს „გრინსერვისი“, რომლის ფაქტობრივი მფლობელები და ხელმძღვანელებიც, მისი დაფუძნების დღიდან იყვნენ თვითონ. ძველი თბილისის გამგეობის სატენდერო კომისიის წევრები ფურცხვანიძე და ხარშილაძე ტენდერს აცხადებდნენ სწორედ მათი დავალებითა და მათ მიერვე შედგენილი ხარჯთაღრიცხვებით, შპს „გრინსერვისი“ ინტერესთა კონფლიქტის ვითარებაში მონაწილეობას იღებდა და იმარჯვებდა ძველი თბილისის გამგეობის მიერ გამწვანებით სამუშაოებზე გამოცხადებულ სახელმწიფო შესყიდვებში, რომელიც ცხადდებოდა უშუალოდ იმ ოდენობისა და სახეობის ხე-მცენარეებზე, რომელიც წინასწარ შეძენილი ჰქონდა კომპანიას.**



**– 2010 წლის 16 ნოემბერს საზოგადოების რეალურმა დამფუძნებლებმა შეცვალეს საწარმოს ფიქტიური დამფუძნებლები და თანაბრად გაიყვეს ფირმის 100 %-იანი წილი, მიუხედავად იმისა, რომ იმ მომენტისათვის საწარმოს კაპიტალი შეადგენდა 1 381 487 ლარს, წილებზე საკუთრების მოპოვების კანონიერად წარმოჩენისათვის შეადგინეს წილის ნასყიდობის ხელშეკრულებები 100% წილის 400 ლარად შესყიდვის თაობაზე.**

**წილების ოფიცილურად გადაფორმების შემდეგ, 2011 წლის 10 თებერვალს, იმავე წლის 1 ნოემბერს და 2012 წლის 25 იანვარს ლაშა ფურცხვანაძემ და კობა ხარშილაძემ სამ ეტაპად განახორციელეს შპს „გრინსერვისის“ მეშვეობით უკანონოდ მიღებული შემოსავლებისთვის კანონიერი სახის მიცემა 1 927 237 ლარის დივიდენდად გატანის გზით. მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და 337-ე მუხლით, რაც თავისუფლების აღკვეთას 9-დან 12 წლამდე ვადით ითვალისწინებს“.**

**ამასთან, როგორც ცნობილია, კობა ხარშილაძე თავის დროზე პრემიერ ზურაბ ჟვანიას დაცვის უფროსი იყო.**

### ყველამ თავის თავს მიხედოსო

**საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური „ნაციონალურ მოძრაობას“ მოუწოდებს „თავის თავს მიხედოს“. ნოდარ ხადური „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ქვეყნის შიდა ვალთან დაკავშირებულ განცხადებებს გამოეხმაურა.**

**– „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავის ვალებს მიხედოს, რომელიც აიღეს – 500 მილიონი დოლარი, სრულიად უტვინოდ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. რომ ჩამოიტანეს 500 მილიონი დოლარი, მერე კითხულობდნენ სად დავხარჯოთ ეს ფულიო, თავის თავს მიხედონ და თავის დანგრეულ ქვეყანას, რომელსაც ახლა ჩვენ ვაშენებთ, – განაცხადა ნოდარ ხადურმა.**

**„ნაციონალური მოძრაობა“ მიიჩნევს, რომ მთავრობის მიერ წარდგენილ ბიუჯეტში ძალიან დიდი მოცულობის ვალია, რომლის გადახდაც მომავალ თაობას მოუწევს.**

**როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურმა მდივანმა ზურაბ ჯაფარიძემ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, პარტიამ 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებით არაერთხელ გამოხატა კრიტიკური მოსაზრება. ჯაფარიძის თქმით, ერთი წლის წინ პარტია აფრთხილებდა ხელისუფლებას, რომ არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის შემთხვევაში პრობლემები თავს იჩენდა ეკონომიკაში და ბიუჯეტშიც.**

ინტერპრესი

დღესასწაული

# ბარბარობა



**17 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია წმინდა დიდმოწამე ბარბარეს ხსენების დღეს ზეიმობს.**

**წმინდა დიდმოწამე ბარბარე, სხვა რამდენიმე წმინდანთან ერთად, ერთ-ერთი გამორჩეულად საყვარელი წმინდანია ქართველი ხალხისა. ასეთი გამორჩეულობა მის არა მარტო ღვთიურ, არამედ იმ ადამიანურ ხასიათსაც მიეწერება, რომელიც ახლოს არის ქართველების ხასიათთან.**

ქრისტიანულ კანონიკასთან, ხალხური ტრადიციები, ცხადია, არავითარ კავშირში არ არის, უბრალოდ, დიდ სიყვარულზე მიუთითებს. მაგალითად, ქართველები ბარბარობის შესახვედრად ვაცხობთ ლობიანებს, ვმოძღვრავთ ბავშვებს და ვეუბნებით, რომ თუ კარგად მოიქცევიან, წმინდა ბარბარე შეეწევათ... წმინდა ბარბარესვე ვევედრებით, რომ უზიარებელი არ წავიდეთ სასუფეველში; ისიც შეისმენს ჩვენს თხოვნას, რადგან ქრისტიანთა მფარველი და მოყვარულია.

წმინდა დიდმოწამე ბარბარე, თვითონაც ხომ ქრისტეს სიყვარულისთვის ეწამა!

ცნობილია, რომ კერპთაყვანისცემელთა ასული უფალმა გამოარჩია. ერთხელ წმინდა ბარბარე ბაღში სეირნობდა, სადაც მამამისის ბრძანებით, აბანოს აშენებდნენ. ბარბარემ მარმარილოზე თითით გამოსახა ჯვარი და მოხდა სასწაული — იქ ამოხეთქა წყალმა, რომლითაც შემდგომში მრავალი სნეული განიკურნა. წმინდა ბარბარემ დაინახა ორი სარკმელი და მოსთხოვა მშენებლებს მესამეც გაეჭრათ, რათა თვით ადამიანის ნახელავში ღვთის სამგვამოვნება აღბეჭდილიყო. ეს სამგვამოვნება იყო სიმბოლო მამისა და ძისა და სულიწმინდისა.

ბარბარე თავისი მოწამეობრივი აღსასრულის შემდეგაც არ დაინდო კერპთაყვანისმცემელმა მამამ.

სწორედ ამის შესახებ ბრძანებს წმინდა სახარებაში უფალი იესო ქრისტე: ლოცვა და მარხვა ერთადერთი საშუალებაა ბოროტი სულის დასამარცხებლად.

წმინდა ბარბარემ მთელ კაცობრიობას უჩვენა ურყევი რწმენის მაგალითი.

**გიული ლიპარტია**

ინფორმაცია

## ბაბუშერას სამარხის გახსნაზე შეთანხმება მიღწეულია

**მიღწეულია შეთანხმება ბაბუშერას სამარხის, ასევე გუმისთაზე ერთ-ერთი სამარხის გახსნის, ასევე ცხედრების გადმოსვენების და მათი იდენტიფიცირების თაობაზე. სამარხების გახსნა მომავალი წლის პირველ ნახევარში იგეგმება, — ამის თაობაზე ჟურნალისტებს გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა დავით დარახველიძემ აცნობა.**

ქართული მხრიდან, ორმხრივი მექანიზმების პროცესს დავით დარახველიძე ხელმძღვანელობს, ხოლო საექსპერტო ჯგუფს ხელმძღვანელობს მისი მოადგილე ნინო ჭავჭავაძე. რაც შეეხება აფხაზურ მხარეს, აფხაზური მხრიდან საქმეში ჩართულია, დე ფაქტო ხელისუფლების ვიცე-პრემიერი ინდირა ვარდანია.

ამასთან, როგორც მინისტრმა აღნიშნა, ეს ყველაფერი წითელი ჯვრის ეგიდით და მხარდაჭერით განხორციელდება.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, სოხუმში, დიდების პარკში აღმოჩენილ სამარხებში, შესაძლოა, ქართველების ცხედრები იყოს.

## პასუხგაუცემელი კითხვები ლოპოტის საქმესთან დაკავშირებით

**— ამის შესახებ სახალხო დამცველის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე სახალხო დამცველის მრჩეველთა საბჭოს ნორვეგიელმა წევრმა ოგე ბორჩგრევინკიმ განაცხადა.**

მისივე განმარტებით, ის პანკისის ხეობაში იმყოფებოდა და გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს შეხვდა.

„პანკისის ხეობაში მე შეხვედრა მქონდა გარდაცვლილი საქართველოს მოქალაქეების ოჯახის წევრებთან და არსებობს მრავალი პასუხგაუცემელი შეკითხვა, რომელსაც, ვფიქრობ, საქართველოს ხელისუფლება ადეკვატურ პასუხს გასცემს. დაახლოებით ერთი თვის წინ შეხვედრა მქონდა მთავარ პროკურორთანაც და მას ვკითხე, არსებობს თუ არა იმ პირთა გარდაცვალების მოწმობა, რომლებიც სპეცოპერაციის დროს დაიღუპნენ და, ზოგადად, რამდენი ადამიანი გარდაიცვალა. მან თქვა, რომ ზუსტი ინფორმაცია იმის თაობაზე თუ რამდენი პირი იქნა მოკლული, არ იყო, თუნდაც ეს ფაქტი არის დადასტურება იმისა, რომ არსებობს ბევრი პასუხგაუცემელი შეკითხვა, — განაცხადა ოგე ბორჩგრევინკიმ.

ამასთან, მისივე განმარტებით, არადამაჯერებლად ჩანს ის გარემოებაც, რომ აღნიშნული სპეცოპერაციის საკითხს იძიებს ის დაწესებულება, რომელიც მას აწარმოებდა. ოგე ბორჩგრევინკი სახალახო დამცველის მრჩეველთა საბჭოს ერთ-ერთი წევრია.

**ინტერპრესი**

კადრი



ჩვენი პრესდაიჯესტი

## ჟურნალ-გაზეთებიდან



### „როდემდე უნდა ვუყუროთ დიმიტრი სანაკოევს?!“

— ცხარობენ დევნილები, — აგერ უკვე ერთ წელზე მეტია, რაც საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა. მიხეილ სააკაშვილიც პოლიტიკურ პენსიაზეა გასული, სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელ დიმიტრი სანაკოევს კი არაფერი შეეხო. არადა, ამ კაცს ე. წ. პრეზიდენტობის ვადა 2010 წლის ნოემბერში გაუვიდა. ხელისუფლებაში მოსვლამდე მეოცნებეები, მათ შორის პაატა ზაქარეიშვილი გმობდნენ სააკაშვილს. ახლა კი, ვადაგასულ სანაკოევზე ამბობენ, ეგ კაცი საჭიროაო... გაგვაგებინეთ რა ხდება?!

### ყოველ მე-14 ქართველს „C“ ჰეპატიტი აქვს

„უკანასკნელი კვლევების მიხედვით, საქართველოში „C“ ჰეპატიტის მქონე დაახლოებით 200000-მდე ადამიანია. მათი ყველაზე დიდი პრობლემა კი მკურნალობის მაღალი ხარჯებია.

„C“ ჰეპატიტის მკურნალობა ასევე გადაუჭრელ პრობლემად რჩება სასჯელაღსრულების სისტემაშიც, სადაც პატიმართა დიდი რაოდენობა სწორედ ამ ინფექციით იღუპება.

ფარმაცევტულ კომპანიებს საქართველოში პრეპარატები საკმაოდ მაღალ ფასში შემოაქვთ, რაც დაავადებულს კიდევ უფრო მეტ პრობლემას უქმნის. სახელმწიფოს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს პრეპარატების შესყიდვაში და ამისთვის მოლაპარაკება კომპანიებთან გამართოს.

**„რეზონანსი“**

### ენერგოდივერსია თუ სტიქია — საქართველოში ავადსახსენებელი მე-9 ბლოკის აჩრდილი გამოჩნდა?!



ერთი კვირაა, დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით, აჭარაში, 90-იანი წლების აჩრდილი დაძრწის. ეგაა ოღონდ აჭარას ასლან აბაშიძე, საქართველოს კი ედუარდ შევარდნაძე აღარ მართავენ. დიდთოვლობის გამო, მაღალი, საშუალო და დაბალი ძაბვის გადამცემი ელექტროხაზები გაითიშა — ბათუმელებს რამდენიმე დღე შუქი არ ჰქონდათ...

**„ვერსია“**

### ინტერვიუ სოსო ჯაჭვლიანთან

— იცით, რამ გამამწარა იმ დღეს? ვუყურებ, რომ არაკაცები, ეს „ქათმები“, სუფთა „ქათმები“, ეს ორი „ქათამი“ ერთად — ბარამიძე და გიგი წერეთელი ცინიკურად აქნევდნენ თავებს. ბარამიძემ შუბლთან რამდენჯერმე მიიტანა თითი... შუბლზე კი არა, საკუთარ ტრ....ში უნდა შეეთხარა ის თითი!.. ახლა ბოდიშს ელოდებიან... მანამდე არ აუდგეთ მაგათ გვერდები, სანამ სოსო ჯაჭვლიანმა ბოდიში არ მოუხადოს!

**„ასავალ-დასავალი“**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
**299-62-77; 599 32-85-76.**

ცინცხალი ანეკდოტები

**თუ** თქვენ გეჩვენებათ, რომ სახელმწიფო მუდმივად გატყუებთ, ეჭვი ნუ შეგეპარებათ — თქვენ არ გეჩვენებათ!

* * *

**ჩემი** ცოლი საწოლში თავის ყველა დაქალზე უკეთესია. ასე რომ, მას საეჭვიანო არაფერი არა აქვს.

* * *

**სოციალური** ქსელების კომენტარების თანახმად საქართველოში მხოლოდ 11 ადამიანმა არ იცის ფეხბურთის თამაში.



* * *

**ჩვეულებრივ**, ყველაზე საინტერესო იდეები თავში მოსდის იმას, ვისაც მათი განხორციელებისთვის საჭირო ფული არა აქვს.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24